

140/3
1949



ბავშვების



პ ი ო ნ ე რ ი

№ 8 აგვისტო 1949




გამომცემლობა ^{ქართული} _{ბავშვებისათვის}

საპარტიზოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
შოკვალთვიური საბავშვო შუიხალი

„კომუნისტო“

წელიწადი XXIII

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии



სამშობლოს სადარაჯღობე!..

მოიარე საქართველო

მოიარე საქართველო,
ჩვენი მთა და ჩვენი ბარი,
ზაფხულობით, — როცა ყველგან
იკეტება სკოლის კარი.

რა სასევა ჩვენი მხარე,
რას არ ნახავს კაცის თვალი,
ყოველ მხრიდან დაბრუნდები
სილამაზის ეშხით მთვრალი.


აქეთ ტყვრი უდაბური
იქით ჭალა ატეხილი,
მარად თოვლში, მარად ტყეში
კავკასიის მთაგრეხილი.

ბუნებაში ყველგან რალაც
საიდუმლო გვემალება,
მათი ცოდნა, მათი სწავლა
ყველა ჩვენგანს ევალება.

რაც გვასწავლეს წინაპრებმა,
რაც აგვისხნეს ჩვენთა ძეგლთა,
რისი ცოდნაც შეუნახავთ
ქვეყანაზე წარსულ წელთა,

შეისწავლე, დაიხსომე
ვით საყვარელ ლექსის პუკარი...
მოიარე საქართველო
ჩვენი მთა და ჩვენი ბარი.

ირაქლი აბაშიძე



6292
75555



საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა



ჭუნების ნიაში

პიონერთა გლიურიდან

გამოცდები დავათავრეთ თუ არა, ყველას მოუთმენლად გვიცვდა გული, თუ სად იქნებოდა ჩვენი საზაფხულო დასვენების ადგილი.

ყოველ დილას, შუადღისას თუ საღამოს — სადღერზე და სატრანსპორტო მოედანთან ისმოდა მზიარული შეხახილები:

- გოგო, შენ საით?
- ბორჯომის ხეობაში. შენ?
- ჯერ სოფელში, შემდეგ ზღვაზე...
- ნელი, შენ აქ რა გინდა?
- კიკეთში მივდივარ, პიონერთა ბანაკში.

— მართლა, მეც იქ მივდივარ, რა კარგია, მაშ ერათა ვიქნებით, — ამბობდნენ გასარებული მეგობრები.

ლიანდაგებზე მოუგულებდნენ მატარებლები და მიაქროლებდნენ ნორჩ ამხვენიებლებს.

მსპირალებდნენ მანქანები გზატკეცილობზე ბავშვთა სანატორიუმებისაკენ, ბანაკებისაკენ. ნიაგი ალერსით უვარჯნიდა თმას თვალციმციმა გოგონებსა და ბიჭებს.

ნორჩ სტუმრებს სიხარულით იგებებოდნენ ბავშვთა სანატორიუმებისა და პიონერთა ბანაკების ხელმძღვანელები, ექიმები, პედაგოგები...

მობრძანდით ძვირფასო სტუმრებო, — ჩურჩილებდნენ ხეები...

— ჩვენი სალამი საყვარელ სტუმრებს, — ბუტბუტებდნენ მდინარეები.

— ჰი-ჰი, ჰი-ჰი, ჩვენსკენ წამოდით ქალებში, — ჰიქიკებდნენ ჩიტები.

როგორც ყოველთვის, კარგი იყო წლებინთელი პიონერული ზათხული და ჩვენ სიამოვნებით ვიკონებთ მას.



„მანქანატრატორების სადგურებისა და მიწათმოქმედების ორგანიზების პროფკავშირების კიკეთის პიონერთა ბანაკი“. — აწერია შესასვლელში ბანაკს, რომელშიც ჩვენ მივედით დასასვენებლად.

— ეს სად მოვსულვართ, რა მშვენიერი ადგილია! — წამოძახა მზიამ, როცა მეორე დღეს ჩვენი პიონერთა ბანაკის მიღამოებს ვთავაღიერებდით.

— კარგია, მაშ! — ვუთხარი მე და არემარეს შეგხაროდი.

მართლაც ლამაზია ეს ბანაკი. თვალს იტაცებს ლამაზი სახლები, ახლად მოწყობილი აბანო, ფართო, ნათელი სასადილო, უზარმაზარი ეზო, ირგვლივ ტყე, ეზოში კი ჩვენს მიერ დამართული კარგიები. მერე რა ტკბილი იყო ძილი ამ კარგიებში! გრილი ნიაგი არ გეშორდებოდა. ვსუნთქავდით საამო, სოფთა ჰაერს. და რა გასაკვირელია, თუ საგრძნობლად მოგვემატა ჯანი.

ჩვენი თან ერთად ისვენებდა სამგორის მშენებელთა შვილებიც.

პირველად გავვიტოვრდა კარგიების გაშლა, მგვრამ პიონერებლმძღვანელებმა, რომლებიც გვეხმარებოდნენ, აეთხრეს:

— შრომა უნდა გიჟვარდეთ.

— უნდა იცოდეთ საყოთარი ბინის მოწყობა, — და ჩიქრა ხალისიანად იმუშაობდით. როცა კარგიების გაშლა დავათავრეთ, გავხედეთ და გვიამა — ლამაზად იყვნენ ჩვენი ხელით დადგმული კარგები ჩამწკრივებული. დაეწიოდით. თითო კარავში სამსამი, ოთხ-ოთხი პიონერი მოვხედით.

როცა დადგინავდით, ჩვენს კარავში ერთი ახალგაზრდა შემოვიდა:

— აბა, როგორ მოეწყვეთ გოგონებო! — გვეითხა. მე შევხეეთ, ნაცნობი სახე იყო, მომავინდა: ეს ხომ გასულ წელს წაღვერში ჩვენი ბანაკის უფროსი იყო — პატრეცემული გივი რომაქიძე, ვიცხანი და თანვე გავიფიქრე: ალბათ აქვე უფროსად მუშაობს.

— გამარჯობათ პატრეცემულო გივი, — შევეძახე.

— ოჰ, მზიას გაუმარჯოს! კვლავ ერთად ვართ, — ღიმილით მივაძახა მან და თავზე ხელი ალერსით გადამიდგა.



ამ დროს კარავთან ჰეღარა კაცი მოგვიან-
ლოვდა, იგი დადლილი იყო და გივის დანა-
ხვისას წამოიძახა:

— როგორაა გივი საქმე, ხომ კარგად?

— კარგად! — იმედიანად გასცა პასუხი
გივიმ, თუმცა ბავშვები გათვალისწინებულზე
შეტი მოვიდნენ ბანაკში.

— ხომ არაფერი გაკლიათ? — კვლავ იკ-
თხა მან.

— არაფერი, — იყო პასუხი და მოსაუბ-
რენი ერთად წავიდნენ.

— ვინ იყო ის კაცი? — ვკითხე ნელიმ.

— ის მიწათმოქმედების ორგანიზაციის
კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმ-
ჯდომარე გაბო კალანდაძეა. მზარეულმა
გვითხრა: აქ ხშირად დადის და ბავშვებზე
ძლიერ ზრუნავს, — მიპასუხა ნელიმ და
განავრძო: — კარგია აქ და თუ მოვებერებ
შეორე ნაკადშიც დავრჩები... — და ხელი
ხელჩაკიდებულებმა ტყისაქენ გავინავარეთ.



ბანაკი მთელ დღეს, რეჟიმის მიხედვით,
საქმიანად ატარებდა.

ნორჩ ნატურალისტთა კლუბში მაგიდას
ირგვლევ შემოუსხდებოდნენ ბავშვები და
გატყვიბით ისმენდნენ. საუბრებს ბუნების
იღბი გარდაქმნის ი. მიწურინის ცნაფ-
რებმსა და მოღაწეობის შესახებ. სხვა ათა-
ხში სარედაქციო კოლეგია გაფაციცებით
ამზადებდა კედლის გაზთვის ახალ ნომერს.
თბილისის ვაჟთა მეორე სკოლის ხუთოსანი
მოსწავლე რამაზ კიკნაძე გულმოღინედ
ხატავდა და აფორმებდა გაზეთს. კარგი ბი-



საქ. ალკ ცენტრალური კომიტეტის მდიანი ამხ. დ.
რომელაშვილი ესაუბრება სამგორის სახალხო მშენ-
ბელთა შვილებს.

ფოტო ვ. რუსეციას

ჭია რამაზი. მან გასულ წელს საქავშირო
კავშირებზე ნახატებისათვის საქავშირო
ალკ ცენტრალური კომიტეტის სიგელი და
„არტეკის“ საგზური მიიღო. წელს მანვე
შეადგინა მარშრუტი ქორთლის ცახის
„ასაღებად“.

მოედანზე ფრენბურთის თამაში იმართე-
ბოდა, ბიბლიოთეკაში ბავშვები ახალ გაზე-
თებს კითხულობდნენ.

ბანაკის საქმიანობას არც მე და ნელი ვი-
ყავით ჩამორჩენილი. ლიტერატურული მი-
ტაჟი „საქართველო“ დაეამზადეთ.



24 ივლისს — სამხეობრო-საზღაო ფლო-
ტის ღღეს ჩვენს ბანაკშიც საზვიამო შეკრება
მოაწყოეთ. გვესტუმრინენ საქართველოს
ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომი-
ტეტის მდიანი თაჟი რომელაშვილი,
მწერლები, პროლაფშირის წარმომადგინლე-
ბი... ბანაკის შესაღაოთინ ორ მწკრივად
იკავშირეთ. სტომრებქათათის ორგანიზაოქო-
რი. საბაჟი შეზღედრა უნთა, მოგვეწყო.
ამოხინდნენ თუ არა სტომრები, გოლმ
სხვაღარად დაგვიწყო (იმა. საპატოიდ მიღი-
საღმეთ მთ. გაისმა შეძახილთ: ლენინ-
სტალინის საქმისათვის იყავით მზათ!

— მზად ვართ! — გაისმა მწყობრი პასუხი.
მისაღმების შემდეგ დროშებით ხელში
გამოხინდა თორმეტი გოგონა, რომლებსაც
მწკრივით და ყავილებით დაფაროლი რაოც
მოქონდათ. როდესაც ისინი სტომრებს მიუ-
ახლოვდნენ, უეჭრად ყავილებიდან თაჟი
ამოჰყო პატარა, წითელყელსახვევიანმა



პიონერთა ბანაკის ფრენბურთელთა გუნდი შეჯიბ-
რებისათვის ემზადება. ფოტო ვ. რუსეციას.



ცქრიანა გოგონამ. მან წინადადება შემოიტანა აგვერჩია სტუმრები საპატიო პიონერებად და წითელი ყელსახვევები ააფრიალა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რაცა მე და ნელი სტუმრებს წითელ ყელსახვევს ვუკეთებდით. სტუმრები ხაზზე მივაპატიეთ. აქ აღმართული იყო პიონერული ანძა, ხოლო ხაზის ირგვლივ მოწყობულ მოჩუქურთმებულ ტრიბუნას საპქოთა გაყმირის გამირების ნ. გასტელის, ლ. შევეცივას, ზოია კოსმოდევიანსკაიას, ივ. ზემუნხანის, ვ. ტალაღინის, ელ. ჩაიკინას, ულ. გრომოვას და ალ. მატროსოვის პორტრეტები ამშვენებდნენ. ხაზის საზეიმოდ ჩატარების შემდეგ, იქვე, მახლობლად ტყეში შევიკრიბეთ. აქ გულწრფელი სიტყვით მოგვმართა ამხ. დ. რომელაშვილმა. გვესაუბრნენ საბავშვო ჟურნალების რედაქციების წარმომადგენლებიც. შემდეგ დაიწყო ჩვენი თვითმოქმედი წარების გამოხატვა. ქართული და რუსული მოძღვრალთა გუნდები გატაცებით მღეროდნენ ჩვენს საზღვაო მებრძოლთა გმირობაზე, მაგრამ ამ დღეს ყველაზე მეტად რამაზ კეკელიძე და გორის ქალთა მეორე სკოლის მეტადე კლასის მოსწავლე სესილია კილაძე გეასახელა. რამაზმა შესანიშნავად მხატვრულად წაიკითხა მ. ლებანიძის „ბალადა წითელი ფლოტელზე“. რამაზი თბილისის პიონერთა სასახლის მხატვრული კითხვის კაბინეტის აქტიური წევრია. რომელსაც რუსუბლოის სახალხო არტიტეს ს. ზაქარაძე ხელმძღვანელობს. სესილიამ კი დიდი ოსტა-

ტობით შეასრულა ს. შანშიაშვილის პორტრეტითა ლეინთან“.

სახელდაბლო კონცერტის დამთავრების შემდეგ სტუმრები ესაუბრნენ ჩვენს ბავშვებს. განსაკუთრებით ისინი დაინტერესდნენ სპეგორის მშენებელთა შეილებთან შეხვედრამ.

სადამოს აელვარდა პიონერული კოცონი.


— დიდება შენ ჩვენი გიბოქვე, დიდება და დღევანდელთა მას, ვინც მოგვცა ბედნიერი ბავშვობა, — გაისმის ხმა. პიონერთა ვაშა ხემ-ხეს გადასახა, ტყემ-ტყეს, მთამ-მთას და მთელს არემარეს მოედო ყრამეული და მხიარულდა.

ექვსასი ბავშვი ისვენებდა აქ წელს, იქვასასი ბავშვის სიხარული მატებდა სილაშაზეს კიკეთის ლამაზ ბუნებას.

ვინ იცის კიდევ რამდენი სამახსოვრო დღის მოგონება შეიძლება ჩავწეროთ ჩვენს დღიურში წლევეანდელი დასვენების დღეებიდან—ექსკურსიები, საუბრები, შეხვედრები და მსხვა მრავალი.

ბუნების წიაღში დასვენებულნი და გაჯანსაღებულნი დაფებრუნდით ჩვენს შობლიურ სკოლას და ძვირფას აღმზრდელ ბავშვებს. ახლა ჩვენი მიზანია ბეჯითად დაიწყოლოთ, რათა ჩვენი წარმატებებით გაეახაროთ სკოლა, შობლები და ჩვენი საყვარელი სამშობლო.

მზია ოქროპირიძე
მზია შუშუნაშვილი



დაბრუნება

შალვა შორაჩიძე

ზოგი იმერეთს ვიყავით,
ზოგიც ქართლსა და კახეთში,—
პეი, რამდენი მწვერჭიტა
გავაბით ძუის მახეში.

რამდენჯერ გადავირბინეთ
ნამდაფრქვეული სათიბნი,—
მუხლისთავამდე გვწვდებოდა
სამყურის მწვენიე ქათიბი...

ევხმარებოდით უფროსებს—
ბალ-ვენახებში ვშრომობდით,
ახლა კი სკოლის ეზოში
კვლავ სიხარულით მოვგროვდით.

ქუჩებს მოედო ნაცნობი,
სექტემბრის ზარის წკრიალი!
თითქოს ამდღრდნენ მერხებზე
წიგნები ჩუმი წრიალით,

გავშალეთ თეთრი ფურცლები,
ანბანით გადახატული,—
ყოველ სტრიქონში სითბოა.
და სიყვარული მიმულის!..

გვიზიდავს წიგნის ფურცლებზე
პუკარები შუქის მთოველი...
და გვაგონდება ყმაწვილებს
ჩვენი ლამაზი სოფელი;

შეთვალებული ყურძენი,
ვაზის ყვითელი ფურცელი,
ყანებში ჩაგუბებული
ნედლი სიმინდის სურნელი.

ბალებში ჩამაქრებული
ლოყაწითელი ატმები,—
რომ ნახო,
ხელი არ ახლო
მარტო მხერთთაც დატკეები.

და ახლა ჩვენი დიადი
მკვიდრი სამშობლოს მთა-ბარი,—
კვლავ ბეჯითობას გავაღებებს,—
ამაზე კარგი რა არი?

ვზივართ მერხებზე მალხაზნი,
თამამად, ყელმოღერებით,
ისევე სწავლაზე გოცნებობთ
მამაცი პიონერები.

მცენარის წყურვილი

წყალი მცენარის ერთ-ერთი მთავარი მასაზრდოებელია. მზესუფზირის ან სიმინდის ერთი მცენარე ზაფხულის განმავლობაში სვამს 200-250 ლიტრ წყალს. ხორბლის ნათესის ყოველი ჰექტარი ფართობი იმდენ წყალს იორთქლებს, რომ ამ წყალს შეუძლია

მთელი ამ ფართობის დაფარვა 30-40 სანტიმეტრის სიმაღლის წყლით. ყოველი ცენტნერი ხორბლის მარცვლის მოსაყვანად იხარჯება 1200 და მეტი ცენტნერი წყალი. ასე იკმაყოფილებს მცენარე წყურვილს.



ბუნებრივი მეცნიერება

ბალები ქვეყნის საღი ფილტვებია, ის სწმენდს და აჯანსაღებს ჰაერს. ბალები ქვეყნის სიბღირეა, — იგი იძლევა ნაყოფს — ძრავალნაირ საზრდოს აღმამისხსს. კეთილმოდილური საქმეა მებაღეობა. მთელი თავისი შეგებული სიცოცხლე ამ საქმეს მოანდობა ივანე ვლადიმერის-მე მიჩურინმა, ბუნების დიდმა გარდამქმნელმა. შეუპოვრად იბრძოდა იგი იმისათვის, რომ ხეხილის ახალი უკეთესი ჯიშები გამოეყვანა, რომ აღამაის უფრო მეტი საოჯებლობა მიეღო მცენარისაგან. მიჩურინი არაფრის წინაშე არ ღრკებოდა. მიჩურინმა არ იცოდა რა იყო სიბნელე. ცდები და დაკვირვებანი ბუნების ყოველ მოვლენაზე, კრძოდ მცენარეებზე თითქოს მისი ორგანიზმი მოთხოვნილება იყო. იოლად როდი აღწევდა დიდი მეცნიერი ბუნებაზე გამარჯვებას.

საინტერესოა მისი დღიურები. სხვათა შორის, პირველი ჩანაწერი ამ დღიურში მიჩურინმა გააკეთა 1869 წლის 16 თებერვალს, როცა იგი 13 წლისა იყო, ხოლო უკანასკნელი ჩანაწერი — 1935 წლის 19 მაისს, სიცილიამდე რამდენიმე კვირით ადრე. ეს დღიურები ხალხის საყთილდღეოდ ბუნების გარდასაქმნელად დიდი მეცნიერის მიერ გაწეული შეუპოვარი შრომის მატანია. წელიწადის ყოველ დროს შეუხრიალი ენერგიით მუშაობდა ივანე ვლადიმერის-მე, როცა ბალი თოვლით იფარებოდა, ცლებს მცენარეებზე იგი თავისი სახლის ოთახებსა და საბათურებში განავრძობდა. ერთხელ, იანვარში ღუმელზე დათესა და ერთი თვის შემდეგ აღმოაცნა მან ლეღვი.

არც წარუმატებლობის წინაშე შეუხრიალი მეცნიერის წარბი: როცა 1901-2 წლების მკაცრმა, ყინვიანმა ზამთარმა იმსხვერპლა მისი ატმის ყველა საცდელი ნერგე, მეცნიერმა ჩასწერა დღიურში: „და ასე, საერთოდ ყველა 2800 ატმიდან არ დარჩენილა საესებით მთელი არც ერთი ეგზემპლარი, მაგრამ ამავე დროს, ჩემის აზრით, ეს როდია დამამტკიცებელი ჩვენს მიღამოებში ატმის კულტურის შეუძლებლობისა, და ამიტომაც

განვავრძობ „შემდგომ ბრძოლას“. თუ რა შედეგები გამოიღო ი. ვ. მიჩურინის ასეთმა შეუპოვარმა ბრძოლამ ბუნების გარდაქმნისათვის, დღეს ყველასათვის ნათელია.

მიჩურინის გზით, მიჩურინული მოძღვრების დროით მიდიან ნიჭიერი და ბეჯითი საბჭოთა ბავშვები ბუნებასთან სალაშქრონა, რათა ყოველი მცენარე იდგეს აღამაისის სასახურში, ყოველმა ხეხილმა თუ ბოსტნულმა მოგვეცეს იმაზე მეტი და უკეთესი ნაყოფი, რაც დღემდე მოუციდა.

მთელს ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა ჩობოტოველთა მოწოდება.

ვინ იყვენ ჩობოტოველები? ჩობოტოველი სოფელია რუსეთში, კუნცევის რაიონში. არის ამ სოფელში შეიღწლიანი სკოლა. და აი, ამ სკოლის პიონერებმა 1945 წელს აქ პირველად საფუძველი ჩაუყარეს ბაღს, რომელსაც „გამარჯვება“ უწოდეს. კარგი მოვლით ბაღმა იხარა. მაშინ ემაყოფილა და აღფრთოვანებულმა პიონერებმა მოწოდებით მიმართეს ჩვენი ქვეყნის ბავშვებს: „ბაღევენახებით დავამშვენოთ ჩვენი სამშობლო!“

დღეს ყველგან ჰყვავიან პიონერთა მიერ გაშენებული ბაღები. საქართველოში დიდი ინტერესით და ენერგიით მუშაობენ ბავშვები მებაღეობაში. აი სწორედ ამ მხრივ მათ მიერ დღემდე ჩატარებული საქმიანობა შეაჯამა და მომავლის ღონისძიება დასახა საქართველოს ნორჩ მებაღეთა პირველმა რესპუბლიკურმა შეკრებამ, რომელიც 25-28 ივლისს მიმდინარებდა თბილისში. შეკრება ჩატარა საქართველოს ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა. იგი შესავალი სიტყვით გახსნა ამხანაგმა ი. ზოდელავამ. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. რომელაშვილი.

შეკრების დღეუბატებმა თან ჩამოიტანეს მრავალი საინტერესო ექსპონატი, რომელთა გამოდენა მოეწყო ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

მართო ეს ექსპონატები რამდენი რამის მტკიცელია — რა ნათელი და საღი გონების



ბავშვები გვეყვანან, რა ბეჯითი და მოწადი-
ნებული პიონერები, როგორი სიყვარულით
ელოლივებიან ისინი თვითულ ძცეხარეს,
რა შეუპოვრობით იბრძვიან ხეხილისა და ბო-
სტნეულის ახალი ჯიშების გაძოყვანისათვის!
ძნელა გამოფენაზე წარმოდგენილი ყვე-
ლა ექსპონატის ჩამოვლა, მათი დახასიათე-
ბა. უყურებ რომელიმე მათგანს და გინდა
ნახო მისი შემოქმედი, მიუღოცი, მხარზე
ხელი დაჭრა მოწოდების ნიშნად, მოეფერო
და მიუღალერსო.

ვისმა პატარა ხელმა აიძულა უბრალო
ძალეურობენა რომ მშვენიერი პომიდორი
მოეცა? ეს—მოსწავლე რ. ჩირაგოლაშვილია,
რომელმაც ძალეურობენაზე „ბუღალინოვ-
კის“ ჯიშის პომიდორის დამყნობით უხემო-
სავლიანი, გამძლე პომოდორის მიღება დაი-
სახა მიზნად.

ეს ვის მოუტანია პატარა, მაგრამ ნაყო-
ფით დახუნძლული ვაშლის ხე? — ზიზი გა-
ჩეჩილაძეს, თბილისის ქალთა მეოთხე სკო-
ლის მოსწავლეს. ეს სამწლიანი ვაშლის ხეა
ზიზის მიერ დამყნობილი, მოვლილი და გამო-
ზრდილი.

აგრ თქვენს ყურადღებას იპყრობს ცხა-
კაიელ ნორჩ მებაღეთა ნახელავი — ვაშლის,
მსხლის, სუბტროპიკული ხერმის ნამყენ-

ბი, ჩხარელ ბავშვთა ყურძნის, ლეღვის, ზე-
თისხილის, წყავის ნაყოფიანი შეესაბამებულ
ლანჩუთელი ნორჩი მებაღის სახეობის
ლაის ახალი ქართული ჯიშის ლიმონის ნამ-
ყენი, აფხაზეთიდან ჩამოტანილი მიმოზები,
კაქტუსები, მეტონიები, გერანი, აბაშელთა
ეკალიბები, სუბტროპიკული ხერმა, თბო-
ლისელთა მრავალფეროვანი ნამუშევრები.

ათვალიერებ ყოველივე ამას და გული
კვლავ იმეორებს სიხარულით: დიდება სამ-
შობლოს, რომელსაც ასეთი ნიჭიერი, ბე-
ჯითი და შემოქმედი თათბა ეზრდებდა უთუ-
ოდ შექების ღირსნი არიან ეს პიონერები,
რადგან მათ სწავლასთან ერთად უყვართ
შრომა. სოფელ ვეჯინელმა პიონერმა ზაურ
ლაშქარაშვილმა შუაზაზიური ნესვი გამოიყვანა
გურჯაანში: „სკოლაში ბოსტნეულს ვეთესავ-
დი, — წერს პიონერი, — ისეთი თესვი შევამ-
ნიე, როგორც არასოდეს მენახა. ვიკითხე და
მითხრეს: ეს შუაზაზიური ნესვის თესვაა, მაგ-
რამ ჩვენში არა ხარობსო. დავეყენე. მოვიტე-
ნე აგრონომიული წიგნები, გავეცანი ამ ხე-
სვის თვისებებსა და მოვლის პირობებს, უფ-
როსებსაც ბევრჯერ მივმართე კითხვით და
შევეუღმე მოვლას... ასო ჩემი შუაზაზიური
ნესვი კახეთშიც მშვენიერად გრძნობს თავს,
ხუთი ცალი ვეებერთელა ნაყოფი აბია
მას“.



ნორჩ მებაღეთა პირველი რესპუბლიკური შეკრება. სურათში: (მარცხნიდან) შეხვედრა გორელ დელეგა-
ტებთან თბილისის სადღურზე, შეკრების დელეგატი ბიეიკო ზუხუბაია (სოხუმის რაიონის სოფელ მესლეუთის
სამშელო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლე). დელეგატები ნელი სამხარაძე (თბილისი), ნელი სულუხია
(ხუდღოდი) და ამალია გრიგორიანი (თბილისი) ათვალიერებენ გამოფენას.

ფოტომონტაჟი რ. აკოფოვისა

ლანჩუთელი სიღარი კვერნჩხელაძე, სოფელ სუფსის საშუალო სკოლის მოსწავლე, ხეხილის ახალი ჯიშების გამოყვანაზე მუშაობს. მას შინაჯ საკუთარი პატარა საბურღე აქვს მოწყობილი ცდებისათვის. შარშან გარეული ძხლის ნაყოფი შეუგროვებია „მევიხანე იგი ნესტობა ადგილას, — წერს სიღარი, — სადაც ლაობას გახიცილდა, შემდეგ მას თესლი გამოვაცალე, გავსულეთავე, საცარში ამოვავლე და სიღარში ჩავფულე, თეიერვალში კი ყუთებში დაეთესე. ამოღეში აღმოცენებული ძეცენარე უკვე საბურღეში გადავიტახე. როცა ძენობის დრო დადგება, გადაწყვეტილი ძაქვს გამოვიყენო სხვადასხვა ჯიშის ძხალი, მონათესავე ხეხილები“.

„პირველი მისი“ — ასე ჰქვია ქალაქ მახარაძის საბავშვო სახლის პიონერთა მიერ გაშენებულ ბაღს. ისეთი კარგი ბაღია, რომ პიონერებმა მისი გაშენებისათვის საკავშირო ალკე ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ხუთთაასი მანეთი ფულადი ჯილდო მიიღეს. ბაღში მათ რამდენიმე ათასი ხეხილი დარგეს. დღეშეთის რაიონის სოფელ ჭოაორტის რეაგოლიან სკოლის პიონერებმა ორჯერ მოიპოვეს გამარჯვება ხორჩ მებაღეთა საკავშირო კონკურსზე.

ახალი ენერგიით, ცოდნით აღიჭურვენ ნორჩი მებაღეები რესპუბლიკურ შეკრებებზე.

ზე. ასეთი შეკრება პირველი იყო საქართველოში. იგი ძეტად საინტერესოდ და წარუფერად ჩატარდა. ბავშვებმა გაუზიარეს ერთმანეთს თავიანთი გამოცდილებები. შეკრების მოხაზილებებს რჩევა-დარიგება მოსცეს ისეთმა მეცნიერებმა, როგორიც არიან სტალინური პრემიის ლაურეატი სასოფლო სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორი ქსენია ბახტაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფ. ვ. გულისაშვილი. შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა და ბეჯითი შრომისაკენ მოუწოდა ბავშვებს ცნობილმა მეჭარხლე ქალმა, სოციალისტური შრომის გმირმა სოფიო მარიდაშვილმა.

შეკრების მონაწილეებმა ინახულეს ბელადის სამშობლო ქალაქი გორი, ხახვის სახლი, სადაც დაიბადა და ყრმობა გაატარა დიდა სტალინმა. საქართველოს ნორჩ მებაღეთა პირველმა რესპუბლიკურმა შეკრებამ მისალმება გაუგზავნა დიდ სტალინს, ამხსნაგებს ლაერენტი ბერიას, კახიდი ჩარკვიანს და საკავშირო ალკე ცენტრალური კომიტეტის მდივანს ნ. მიხაილოვს.

თავთაბთ მისალმებებში შეკრების მონაწილეებმა საქართველოს ნორჩ მებაღეთა სახელით პირობა დასდეს ისწავლონ ბეჯითად და აქტიურად მონაწილეობა მიიღონ ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმის შესრულებაში.

ლ. შარდოსანიძე



გ ა ქ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი ხ ე ე ბ ი

ქალაქ ჩკალოვიდან 12 კილომეტრზე არის ხევი, რომელსაც ადგილობრივი მეცხოვერებნი „არყის ხევი“ ემახიან, ზოგჯერ კი — „ქეის ხევი“. ამ ხევი ვხვდებით გაქვავებული ხეების მრავალ ტოტს, რომელთა საშუალო დიამეტრი 70-მდე სანტიმეტრია.

ყურადღებით დაკვირვებისას ადვილად შეიძლება მათი გარჩევა ქეისისა და კირისაგან, რაც დიდი როლენობითაა აქ. გაქვავებული ხეები წითელ-ყავისფერი, ზოგჯერ

კი რუხი ფერისაა. მათ მთლიანად შეუნარჩუნებიათ თავიანთი ფორმა. — აქით როკები, გამოწარადლები და კარგად ემჩნევათ წლიური რგოლები.

მეცნაერთა ხეების გაქვავება ხდება მინერალური ხსნარით მათი გაქვინების გამო. მინერალური მარილების სიუხვე და შემდეგ წვიმის ნაკლებობა ხელს უწყობს ხეების გაქვავების პროცესს.

გაგვახარებენ ბალები

აქაი თოფურია



თელეთის მთიდან ნივმა
ჩამოიქროლა ნახად.
ბაღში პატარა ნარგავებს
უსურვა მალე გაზრდა.
მერე მტკვრისაკენ დაეშვა,
დაღა აჰინდი წყნარო,
წვიმა არ მოყვა ამ ზაფხულს,
ნარგავებს უნდა წყალი
...იციან, კარგად იციან,
დააიწყდებოთ განა.
ისე გაიწრთენენ საქმეში
ოსტატ მებაღეს გვანან.
აი, წყლით სავსე სარწყავი,
აი, გივი და ზურა,
გულმხიარულად შრომაში
შეერთებულან ძმურად.
გივი რწყავს სახემცინარე,
ზურა ტიგოზე აკრავს
სათბურებიდან გადმორგულ
ატმის პატარა ნარგავს.

პატარას ვამბობ... ჯერ ტოტი
არ გაშლია და მიტოვ.
ნორჩია და ლამაზია
როგორც მომვლენი თვითონ.
ხან ძირებს უალურსებენ,
სასუქს აყრიან მიწას,
ხან მათი ტუბილი სიმღერა
გაისმის შრომის ჰიზნად:
„ჩვენც ნორჩები ვართ, ეს ხენც,
ერთად ვიზრდებით ასე.
მათზე ზრუნვა და ფიქრები
სწავლის ხალისით გვაგვებს.
და როცა სკოლას მედლებით
ჩვენ დავამთავრებთ, მაშინ
ეს ნორჩი ხენი—გაზრდილნი
თეთრი ჩრდილების გაშლით,—
იშრიალებენ, ნაყოფებს
გამოისხამენ ულევს
და დახუნძული რტოებით
გაგვიხარებენ გულებს“.

„მსროლელი მცენარე“

მსოფლიოს არც ერთ ბოტანიკურ მუზეუმში არ შეიძლება შეხვედროდით დიდი ხნის განმავლობაში ამერიკული მცენარის ნაყოფს— გურაყრებიტანს; იმიტომ კი არა რომ ეს ნაყოფი იშვიათობას წარმოადგენდა, არამედ უფრო ხოლოდნენ მუზეუმში მის შენახვას, რადგან „მსროლელი“ იყო.

ნაყოფი დამწიფდებოდა და გახმებოდა თუ არა, ისეთი ხმით სკდებოდა, გეგონებოდათ სროლაო. მარცვალი ისეთი ძალით იფანტებოდა, რომ ეიტრინის მინები იმტკვრებოდა.

დიდი ხნის შემდეგ მიხვდნენ მუზეუმის მუშაკები, რომ საჭირო იყო ამ „მსროლელი“ ნაყოფის მავთულით შეხვევა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდა იგი მუზეუმის კოლექციებში. ჩვენში, საბჭოთა კავშირში არის ერთგვარი „მსროლელი“ მცენარე— მას კავკასიურ „ცოფიან კიტრს“ ეძახიან, რომელიც აგრეთვე ისერის, რათა შესძლოს თესლის შორს გადასროლა.

„შორეული სროლის“ სარეკორდო მაჩვენებელს იძლევა „ცოფიანი კიტრი“. ამ გოგონისებური მცენარის სამშობლო კავკასიაა. „ცოფიანი კიტრი“ გვევლინება მრავალი ქვეყნის ბოტანიკურ ბაღებშიც. მისი ფოთლები, ყვავილები და ნაყოფი ძლიერ წააგავს ჩვეულებრივი კიტრისას, ნაყოფის ბოლო ღერო საცობის მოვლევობას ასრულებს, დამწიფების შემდეგ საცობი შინაგანი მიწოლისაგან დიდი ხმით გამოვარდება. „ცოფიანი კიტრი“ თავის მარცვალს რამდენიმე მეტრის მანძილზე ისერის.





ანასეული

ინგო ნაპაიძე

ლეგენდა და სინამდვილე

ნახ. ზ. უოციხიშვილისა

გინახავთ თქვენ ანასეული, მარად ამწვანებული, ლამაზი, სუბტროპიკული მცენარეებით მოკაზმული? ანასეული, სადაც ხარობს ფიჭვი და ტუნგი, ევკალიპტი, ნაძვი და სოკი, სადაც ხარობს ფორთოხალი, ლიმონი და მანდარინი, ხურმა და ჩაი, — ჩაი მუდამ მწვანე, მუდამ ლამაზი, თეთრი ნახსურნელოვან ყვავილებიანი?

არ გინახავთ?

მამ, მე გაიამობთ ანასეულის ამბავს თავიდან ბოლომდე.

ანასეულს ყოველთვის ჰყავდა და ჰყავს თავისი მოამბე-მეზობლები სწრაფი ჩქრიალა მდინარე ბზუჯი, რომელიც ხმაურით ასკდება აქაფებულ თეთრ ლოდებს, მიხტის, მიშხუთს თეთრ ქვებზე, თეთრ კალაპოტში და უმღერის ანასეულს ქებათა ქებას.

ანასეული ლაღად და ფართად არის გაწოლილი ბზუჯის მარცხენა მალა ნაპირას, და ბზუჯიც სიმღერითა და სიყვარულით დარაჯობდა და დარაჯობს მას ერთგულად უხსოვარ დროიდან.

ახლა არავის ახსოვს რისთვის ეძახიან ამ ადგილს ანასეულს: მხოლოდ ბზუჯმა და დიდმა მშუქარე მთვარემ, ზაფხულში საღამომობით რომ ამოგორდებდა ლურჯ ცაზე, და რომელსაც თან ცქრიალით ამოჰყვებდა ლამაზთა ულამაზისი ასპიროზი თითქოს ახსოვთ და იციან ყველაფერი და მათ შორის იმართება ბაასი ანასეულის შესახებ.

თითქოს მთვარე თავის ვერცხლის სხივებით ეკითხება ბზუჯის ნათელ შხეფებს:

— გახსოვს, ჩქრიალავე, რომ ამ ადგილას ცხოვრობდა ანა?

— მამ არ მახსოვს. მამ არ მახსოვს?! აი, ჩემს პრელ კალმახებს არ ახსოვთ, ესენი ახალგაზრდები არიან. — ჩქრიალებს ბზუჯი.

— მე კი ყველაფერი მახსოვს, — თითქოს ამბობს ციმციმა პაწია მწვანე ფრთების ფარფატი ასპიროზი და ცდილობს არ ჩამორჩეს მთვარეს.

მთვარე, ასპიროზი და კალმახებიანი ჩქრიალა ბზუჯი ზაფხულში საღამომობით დიდხანს უცქერიან ერთმანეთს.

და მე თითქოს მესმის, როგორ უზიარებენ ერთმანეთს ისინი ანასეულის შესახებ ბევრ რამეს, და მეჩვენება, რომ ამ ვრცლად გაშლილ, მდინარის პირად გოლიათივით გაწოლილ ადგილას ცხოვრობდა იდესლაც ანა. ქალი კეთილი, ჰკვიანი და სათნო, რომელიც უყვარდა ირგვლივ ყველას — დიდსა და პატარას, ქალსა და მამაკაცს, მოხუცსა და ახალგაზრდას, — და დარჩა ხალხში თავიიდან თაობაში გადმოცემული მისი სახელი.

ხალხის ხსოვნაში ხომ მხოლოდ კარგი, ჰკვიანი, დიდი აღმიანის სახელი რჩება, რომელმაც მოუტანა ქვეყანას რაიმე სიკეთე, მოუპოვა სახელი და დიდება.

ცხადია, ანამ რაღაც სიკეთე მოუტანა ჩვენ ქვეყანას, მაგრამ ანასეულს მამამ დაფარა ტყემ, ეკალბარდმა, გვიმრამ და ხაჩსმა.

ზაფხულობით ახლომახლო სოფლებიდან მოდიოდნენ პატარა გოგო-ბიჭები და ტყის კიდეზე კრეფდნენ ტყილ მაცვალს და წითელ, მსხვილ მარწყვს. აგროვებდნენ წყებობისა და ფოთლებისაგან გაკეთებულ მწვანე, პაწია ალაბაებში. მიჰქონდათ ქალაქ ოზურგეთში და გაიძახოდნენ:

— ანასეულის მარწყვი...

— ანასეულის მაცვალი...

და ყველამ იცოდა, რომ ეს — ანასეულის მაცვალი საუკეთესო მაცვალს და საუკეთესო მარწყვი იყო, და განა თქმა უნდა, რომ ყველა ყიდულობდა?

გლეხებს გამოჰქონდათ ტყიდან შეშა, ლობისათვის იელის წყნელი, ფიჩხი, კეთილად იგონებდნენ ანას, რომელიც აქ ცხოვრობდა.

ტყე უყვარდათ აგრეთვე ფირალებს — მეფის წინააღმდეგ მებრძოლ ტყეში გავარდნილ ვაჟაკებს.

ფირალები

კვირაობით და თვეობით ცხოვრობდნენ ანასელის ტყეში ისეთი ფირალები, როგორც იყვნენ დარჩიაშვილი, მეხუზლა, მამულაიშვილი, შვევარდნაძე და ვაჟაკობით და სილაშხით განთქმული მიქელიაშვილი. უსნი იყვნენ მეფის კანონით განდევნილნი, მეფის ურჩნი. იმათი თავები შეფასებული იყო, ისე-იგი, ვინც მათ მოჰკლავდა ან დაიჭერდა მეფის მთავრობისაგან ფულადი ჯილდო ეძლეოდა, მაგრამ ხალხი არ ემტერებოდა იმათ. სოფელში თუ ვინმეს გაუჭირდებოდა სახელმწიფო გადასახადის გადახდა (და ვის არ უჭირდა მაშინ გადახდა), ეს ფირალები ეხმარებოდნენ, აძლევდნენ იმათ ფულს.

ფირალები აშენებდნენ სახელდახლოდ კარავს ანასელის ტყეში, გაჩაღებდნენ ცეცხლს და ცხოვრობდნენ. სანოვავე მათთვის მოჰქონდათ შინაურებს და ახლო-შახლო სოფლებში მცხოვრებ გლეხებს.

მამულაიშვილთან ზწირად მოდიოდა მისი ახალგაზრდა ცოლი, აფხაზი ქალი ბელოური ცხენით: მოუვლიდა იგი ანასელს ოჩხამურდან. მოაგდებოდა ცხენს კარავთან, გაომოხტებოდა, გადმოიღებდა საფეხ ზურჯინს და სამფეხა საიდეღლე ჩამოკიდებულ „ჩანანაში“ აკეთებდა კერძს.

ფირალები ზწირად იგონებდნენ ხალხურ თქმულებებს და პირველ რიგში თქმულებას ანას შესახებ.

— მაღლობა ანას, რომ მისი მაღლიანი ნაფუქვარი გიციავს მეფის მთავრობისაგან. — იტყობდნენ ხოლმე დიმილით.

— გამიგონია, — თქვა ერთხელ მამულაიშვილმა, — თემურ ლენგის შემოსევის დროს, მთელი წყალგაომა ქალაქები და სოფლები რომ გათავუწვიათ. აუარებელი ხალხი შეიხიზნა ანამ თავის მამულშიო, ისი გაამაგრა თურმე თავისი ციხე და თვითონ შეიკარგებულა ანაჲ ისი ვეფხვიით იბრძოდა, რომ თემურ ლენგმა ვერ გაბედა ანასეულზე ამოსვლაო.

ერთხელ ფირალებს ფული შემოეღიათ. — წაიღეთ, ქესკინავ, მოგიტანით ფული, — უთხრა მიქელიაშვილმა ამხანაგს.



მეორე დღეს მიქელიაშვილმა და ქესკინამ მართლა მოიტანეს ფული, სანოვაგე და ღვინო.

— სად იშოვე, ბიჭო, როგორ იშოვე. — ეკითხებოდნენ ამხანაგები, როდესაც სილამის ცეცხლის პირას შემოუსტნინენ აფხაზი ქალის ვაჟებულ ვახშამს, საჭაპურებს და მწვადებს.

— მე და ქესკინამ, — დაიწყო მიქელიაშვილმა, — გაესწიეთ სულ ქენებით, გადავიართ ჩოლოქი, ჩავედიო ქობულეთში. იქიდან გაესწიეთ პირდაპირ მოხუცი გენერლის ქვრივის სახლისაკენ. წვიმა მოვიდა, მაგრამ როგორი! ცაი ფენხათ ჩამოვიდაო რომ იტყვიან, სწორედ ისეთი. ზოგა აბოზაქარდა, აღელდა, აყვირდა. თითქოს ბედი ხელს გვიწყობდა. ირგვლივ ქაქანება არ იყო.

ქვრივი ზღის პირას ცხოვრობს, საყუთარ ლამაზ სახლში. შუღამე ექნებოდა. ისე ბნელოდა, თვალში თითს ვერ იყრავდი. ავედიო ქვრივის სახლის იფანზე და კარზე წელა დავაკაუნე. მე ვიცოდი, რომ ქვრივის მოსამსახურე დედაკაცს ამ დროს ეძინა ოთხი ოთახის ოქით.

— გინ არის? — მომესმა პასუხი.

— ნუ გეშინიათ. ქალბატონო, მტერი არა ვარ, — ეუთხარი მე.

— მოეგარე თუ ხართ, მობრძანდიო!

კარი გაიღო და შევედი. ბეჭეტში ოღნავ მოხრილი, ჭალარა მოხუცი ქალი ჩემს დანახვავ ცოტა არ იყოს შეკრთა. ქესკინა



კარებთან დაეტოვებ აივანზე. მე გაეუღიმე მოხუცს. ხელი გაეუწოდე ჩამოსართმევად და თავაზიანად ვუთხარა:

— ქალბატონო, არ შეშინდეთ, დაბრძანდით თქვენს მშვენიერ სავარძელში.

— თქვენც დაბრძანდით, — მითხრა მან და მეც დავეჯექი.

უნდა გითხრათ, რომ ოთახი ძალიან ლამაზად აქვს მორთული — მხატვრული ქოლგებით, მარაოებით, შირმებით, სარკეებით, დაბალი სავარძლებითა და სურათებით.

— ცოტა საქმე მაქვს თქვენთან. — ვუთხარი მოხუცს და ბოხობი მოვიხადე. ამოვიღე ჩემი ოქროს პორტსიგარი და პაპირისი მივაწოდე. ვიცოდი თუთუნს ეწეოდა.

სიამოვნებით ამოიღო და შევეუღმეით წევსა.

— ქალბატონო, — ვუთხარი, — მე მიქელაიშვილი ვარ, თუ გაგიგონიათ...

ქვრივი უცებ გაფითრდა, მაგრამ მაინც გაიღიმა.

— მიქელაიშვილი, ფირალი! მე არასოდეს არ მინახავს ფირალი და... ძალიან სასიამოვნოა თქვენი ნახვა... მაგრამ... — სიტყვა ვერ დაამთავრა და დაჩუქმა.

— დიდი მადლობელი ვარ, რომ გესიამოვნათ ჩემი მოსვლა. მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე ვემალეები მიფის მთავრობას, რომელსაც არ მინდა ვემსახურო...

— რატომ არ გინდათ ემსახუროთ? აი, ჩემი ქმარი ღრმა მოხუცებულგამდის ემსახურებოდა მიფეს, თქვენ კი ასე ახალგაზრდას...

— და მე, ახალგაზრდას, არ მინდა ვემსახურო. არ მინდა ისედაც დაჩაგრული ხალხის ჩაგვრაში დაეხმარო... მაგრამ დროდადრო მიხდება მივმართო მეგობრებს დახმარებისათვის. ვარჩიე მოვმართო თხოვნით თქვენს: ის, რაც თქვენმა მეუღლემ — გენერალმა მიფის სამსახურში შეიძინა ხალხის ჩაგვრისათვის, თქვენ დაუბრუნეთ ხალხს... თქვენ გაქვთ ძვირფასი ნივთები... — მე კიდევ მივაწოდე პაპირისი, — თქვენ ნუ შეეშუხლებით. ქალბატონო. მხოლოდ გვითხარით, სად რა გაქვთ შენახული და ჩემი კაცი ყველაფერს თვითონ მინახავს — ნივთებსაც. ფულსაც.

* ჩემი მასპინძელი ერთხანს დუმდა და აღელვებული შეუწყვეტლად ეწეოდა პაპირისს. მე ვიჯექი, თითქმის ვერ ვამჩნევდი მის აღელვებას.

— მე სამინლად მიყვარს ჩემი ნივთები. აი, ხომ ხედავთ ძილისთვის ვემსახდებოდი, მაგრამ ძილშიაც ვერ ვიშორებ ამ ბეჭდებს, ამ სამაჯურს... საათო, ყელსაბმელი, გულის

ქინძისთავები ეს არის მოვიხსენი და თქვენს შემოდით...

უცებ ადგა და უფრო თავისუფლად სიტყვა:

— უარი რომ გითხრათ?!...

— ეს შეუძლებელია, ქალბატონო, — ვუთხარი.

— დედაცაც დავეძახებ...

— არა, ქალბატონო, ნუ შესწუხლებით, დაბრძანდით. ნება-მოცემით ჩემი კაცი შემოვიღეს, ის მონახავს ყველაფერს. თქვენ მხოლოდ გვითხარით, სად რა გაქვთ შენახული.

ქვრივი დაჯდა. პაპირისი კიდევ მივაწოდე. სწევდა ზღვიზედ. შეუსვენებლივ.

ქესკინას ვანიშნე და შემოვიდა. ხელში დიდი ხურჯინი ეჭირა.

— აი, მაქ არის ყველაფერი, — და მიგვივითა. — მხოლოდ კაბოში ყუთი არის და ყველაფერი იქ ჩააწყვეთ, რომ არ გაფუჭდეს.

ეტყობოდა ნივთებს უფროხილდებოდა.

— სხვა კიდევ რა გაქვთ, ქალბატონო?

— სხვა კიდევ — სერვიზები, ვერცხლის დანა-ჩანგალი და კოვზები. ჩაის, ყავისა და ტკბილეულობის ვერცხლისა და ოქროს იარაღები „ბუფეტშია“.

ქესკინამ ყველაფერი გამოიღო და ჩვენს წინ დალაგა. სხვა ძვირფას ნივთებთან ერთად აქ იყო გენერლის ორი ოქროს დიდი საათი ძეწყებით, ოქროს პორტსიგარები, ოქროს ორდენები, ქალის ორი ოქროს საათი...

— ქალბატონო! — ვუთხარი მე. — ეს ერთი საათი და სამაჯური, აგრეთვე რაც ამქამდ ხელზე ბეჭდები გაქვთ, დაიტოვეთ. თქვენი მშვენიერი ბრილიანტის საყურეებიც დაიტოვეთ. ამას გარდა, — მივმართე ახლა ქესკინას. — ქესკინა, ამ ორ ყუთიდან, სადაც ჩაწყობილია ოცდაათ-ხუთდაათნი წყვილი ვერცხლის დანა-ჩანგალი და კოვზები, ამოიღო ორ-ორი წყვილი და დაუტოვე ქალბატონს. ერთი თავისთვის და ერთიც სტუმრისათვის დასჭირდება.

ჩემს მასპინძელს თვალები გაუნათლდა.

— დიდი მადლობელი ვარ. — მითხრა მან. — ყარგი მაინც, რომ თქვენ მოხვედით ასეთი ზრდილობიანი და...

მე კიდევ მივაწოდე პაპირისი, მოვუქვიდეთ და ორივე ისევ შეიკოღმეით წევას.

ქესკინამ ყველაფერი ხურჯინში ჩაალაგა.

— ფული ცოტა მაქვს, — მითხრა ქალბატონმა, — რაღაც ხუთასიოდე მანეთი...



— ასი დღითოვეთ, — ვუთხარი მე.
 — დიდი მადლობელი ვარ.
 კონვერტში ჩადებული ოთხასი მანეთი
 მიაწოდა ქესკინას.

ქესკინამ მოუტრა თავი ხურჯინს.
 — ქალბატონო, — ვუთხარი მე, — ნახე-
 ვარ საათს ხუ შეწუხდებით და მოსამსახუ-
 რეს ნუ დაუძახებთ... ახლა კი გამოგემშვი-
 დობებით, მხოლოდ გთხოვთ, არ გამოიჯავრ-
 დეთ, არ გეწყინოთ...

— არა, რას ბრძანებთ, მე მოხარული
 ვარ, რომ გავიცანით. ისე ბეერი რამ გაში-
 ლონია თქვენზე... და ახლა გზახეთ...

პაპიროსი მივაწოდე. ბოხოხი დავიხურე,
 ნაბადი გავისწორე და გამოვემშვიდობეთ
 ერთმანეთს.

წვიმა აღარ მოდიოდა, ქექა-ქუხილი აღარ
 აზანზარებდა ქვეყანას, მხოლოდ ზღვა ისევ
 ისე ღრიალებდა.

— აქ, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ხუთი
 ათასი მანეთის ნივთებია, — მითხრა ქესკი-
 ნამ.

დილით ნივთები ნაწილობრივ უკვე გავა-
 ნადღეთ ქობულეთში. ახლა ჩვენ უნდა და-
 ვეხმაროთ ექადის, მაკვანეთის და ლესო-
 ურის გლეხებს, რომლებსაც ძროხებს უყი-
 დიან გადასახადისათვის, და სილიბისტროს
 და ვოგიას ვუშველოთ სახლების ამენება-
 ში.

— კარგი დავემართოს, კარგია, ძმავ! მაშ,
 დავლიოთ ქერივის სადღეგრძელო, რომელ-

მაც შეგეინახა, თუმცა გაჭირვებულს მხარეში
 ბოლოს მაინც დავგიტოო თავისი ქონებასთან
 ყველამ გადააქრა თითო კიბა შეშხუნა
 დვინო.

— თქვენ გავიწყდებათ ანას შესანდობა-
 რის დალევვა, — თქვა მამულაიშვილმა. —
 ანა რომ არ ყოფილიყო, ახსენული არ იქ-
 ნებოდა და ასე თავისუფლად ვერ დავჯდუ-
 ბოდიოთ აქ.

— ჩუ, ვილაც მოდის! — ჩურჩულით
 თქვა ქესკინამ.

ყველამ თოფს წამოავლო ხელი და წამო-
 ცვივდნენ...

— აჰა, შენ ხარ იოთამ?! მშვიდობაა? —
 შესძახეს ერთმანდას ახლო მოსულ გლეხს.

— მშვიდობაა, მშვიდობა! ამ ღამე ვინ
 ამობედავს ანასეულზე, მაგრამ ხვალ გათე-
 ნებისას კი აპირებს პოლიცია თქვენზე თავ-
 დასხმას.

— აბა, ამხანაგებო, ახლავე უნდა გავ-
 სწიოთ... ცხენები...

— ცხენები აქვია, მოგიყვანეთ, — თქვა
 იოთამმა.

ყველანი უხმოდ გამოვიდნენ კარავიდან
 და შესხდნენ ცხენებზე.

— გათენებამდე ჩოლოქს გაღმა ვიქნე-
 ბით და გვეძებონ აქ. — თქვა მიმავალმა
 მიქელაიშვილმა და ცხენს მათრახი გადაჰკ-
 რა. — რაც ჭურ-მარბილი დავგვრჩა, თქვენ
 მიირთვიეთ. — გადმოსახა მან იოთამს და
 ცხენების მომყვან გლეხებს.

(გაგრძელება ლექსით)



ქსნის ზეოპიაში, სოფელ „ლამის-ყანას“ მეთვრამეტე საუკუნის ოციან წლებში ლეკების მოთარეშე ბრბომ მოულოდნელად დაატყვევა ჩვენი დიდებული პოეტი დავით გურამიშვილი.

ლეკების ტყვეობისაგან თავის დაღწევის შემდეგ დავით გურამიშვილი რუსეთში წავიდა... სადაც იგი 1738 წელს ქართველ „ჰესართა პოლკში“ ჩარიცხულა.

1739 წელს დავით გურამიშვილი ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობს, ხოლო 1753—1762 წლებში იგი პრუსიელების წინააღმდეგ იბრძვის.

1758 წელს დავით გურამიშვილი თურმე ტყვედ წაუყვანიათ პრუსიელებს და მადგენ-ბურგის ციხეში მოუთავსებიათ. მაგრამ 1762 წელს დავით გურამიშვილი ტყვეობიდან გამოუსყიდიათ და სამუდამოდ უკრაინაში დასახლებულა.

დიდი ქართველი პატრიოტი დავით გურამიშვილი დაიბიდა 1705 წელს, მისი მამა ქართლის ერთ-ერთი შეძლებული თავადი იყო.

თავისი ქარიზმალიანი სიკბუჯე პოეტს ტყვეობაში და ბრძოლებში გაუტარებია...

დავით გურამიშვილმა ნაზევარ საუკუნეებზე იცხოვრა უკრაინაში, პოლტავაში, სოფელ ზუბოვკაში. დავით გურამიშვილმა აქ დასწერა თავისი უკუდავი ნაწარმოებები, რომელნიც ცნობილია „დავითიანს“ სახელწოდებით.

დავით გურამიშვილი გარდაიცვალა 1792 წელს 87 წლის ასაკში. მაგრამ მისი გარდაცვალების დრო და ადგილი დიდხანს გაურკვეველი იყო ქართველი ხალხისათვის.

მიმდინარე წლის ივლისში პოეტის საფლავზე მირგოროდში დიდი ზემოთ გაიხსნა დავით გურამიშვილის ძეგლი. რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალხი კესმარიტად დიდი სიყვარულით იგონებს დავით გურამიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

დავით გურამიშვილის პოეტური მემკვიდრეობის ესოდენ დაფასება კარგად გამოხატავს საბჭოთა ხალხების დიად მგეობრობას.

დავით გურამიშვილს

ნულარ იდარდებ შენს სამშობლოზე,
ლაწვს ნუ დაგიღობოხს ცრემლებს ღვარი,
დღეს უკრაინა ქართლად იფულე,
იქაც ქართველთა სამშობლო არი.

უკრაინელი ქართველის ძმაა,
იქაც გაისმის ჰანგი ქართული,
ჩვენ შენი ტკბილი სამშობლოსათვის
ერთად ვიბრძოდით ხმალ შემართული.

მომავლისათვის ერთი გვაქვს ფიქრი,
ერთნაირია ჩვენი მიზანი,
საქართველოზე ნუ გწყდება გული,
დღეს უკრაინა ქართლად იცანი.

ჩვენ ერთად ვუსმენთ ჰიკეიკა მერცხალს
კუდმაკრატელას და თერთგულიანს,
ნეტავ ვაჩვენა—საქართველოში
ახლა მარადი გაზაფხულია.

მიორბი კელენჯერიძე.

ზესტაფონის რკინიგზის საშუალო
სკოლის მოსწავლე



ილია სიხარულიძე

მოსწონს ჩვენი მთა და ბარი,
ზოგან გვხვდება კენტად მდგარი,
ზოგან ხშირად, მწკრივად რგული;
ხშირტოტება გაბადრული,
ტანაყრილი ცაცხვი დიდი,
ცაცხვი დინჯი, ლალი, მშვიდი!
თვალტანადი, მოხდენილი;
რა კარგია მისი ჩრდილი,
ყვავილების ტკბილი სუნი!..
ეს რა ისმის რა ზუზუნნი?!
ეს რა ჩუმი ფუსფუსია?!
ფუტკრებს ცაცხვი აუესია!
ბუდრუგუნა, ფრთამალები
ნექტარს სწოვენ გამალებით,
სკისკენ ფრენენ სწრაფად, დაბლა,

რომ გარდაქმნან წვენი თაფლად.
ჰშვენის ცაცხვს, რომ მის რტოებში
ჩიტბატონა სტვენს და გალობს;
შვენის ცაცხვს, რომ იქვე ახლო
გაშლილია პურის კალო;
მის ფოთლების შრიალს ერთვის
კოლომეურნის ოროველა;
თითქოს ცეკვავს სამაიას,
ცაცხვი არხევს ტოტებს ნელა;
სიო ქრის და ჟრუანტელი
მწვანე ფოთლებს ტანში უვლის;
მის ჩეროში მუდამ ისმის
სიმღერა და ჟრიამული.


ყინულისაგან ნაგები შენობა

ყინულისაგან უზარმაზარ მაცივარებს აშენებენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ყინულის საწყობები არა დნებიან მთელი ზაფხულის განმავლობაში.

ყინულის მაცივარები მთლიანად ყინულისაგან შენდება, მხოლოდ შესასვლელი დამბურები ჩვეულებრივი საშენი მასალისაგან კეთდება, ყინული ზევიდან იფარება ნახერხით, წიდათი, ტორფით, ზავსითა და სხვა

სითბოგამტარი მასალებით, — აი ესენი იცავენ ყინულის საწყობებს გადნობისაგან. მთელი წლის განმავლობაში ტემპერატურა საწყობებში ნოლს ქვევითაა. როცა ტემპერატურა აიწვეს, ყინულის იატაკზე მიმოპყრიან ჩვეულებრივ ფხვნილ მარილს და შენობაში დგება სიცივე.

ასეთი ყინულის მაცივარები აშენებულია საბჭოთა კავშირის მთელ რიგ ქალაქებში.



დ ა ნ ა მ ა ვ ე ს ?

პირსა ერთ მოკმედებად

მომქმელი პირები

ჯიში | ზანგი ძმები, 12-14 წლისანი

დრუე | თეთრკანიანები 14-15 წლისანი

ოპერტი | თეთრკანიანი მტვორთავი მუშა

პოლიციელი

(ზღვის სანაპიროზე ღვას გრძელ სკამები, სტენის სიღრმეში მოჩანს ზღვა. ისმის ტალღების შხელი. ჯონს აკილებული შემოკვავს ავადმყოფი ჯიში, დაწვევს სკამზე).

ჯიში: — ვაიშე, ჯონ, ვკვდები...

დაარტყამს აეთრე-მეთქი (გერსეულს) ზედავ, არც კი იხრძევა, ჩვენ არაფრად გვაგადებს!

ჯონი: — ნუ გეშინია, ძმაო, მოგარჩენ, კარვად გახდები. (მცირე პაუზის შემდეგ) ჩვენ ამერიკაში ასეთი ბედი გვიწერია. (გრემულს იწმენდს) ყველა ჩვენ გვაძვირებს, გვეცმს, ჩვენ კი მათ წინაშე ხმის ამოღების უფლებაც არა გვაქვს (ჯიშიდან შავი პურის ნატებს ამოიღებს და ჯიშს აძლევს). ამა პური, ჯიში, შენახული მქონდა შენთვის, ძმაო.

მარსეული — განგებ კენისი, იქნებ შემციოდონ და ხმა არ გამცნო. (ჯიშს ფეხში მოკიდებს ხელს და ძირს ვაღმავადებს) აი, ამ გომბეროს ასე მოუხდება, ახ. ლა კი ურტყათ რაც ძალი და ღონე გვაქვს.

ჯიში — (პურს გამოართმევს, პირთან მიიტანს, მკარამ ხელიდან გაუფრდება) არ-მინ-და...

(დრუე და გერსეული იციან და წყევლს ურტყამენ)
მარსეული — წყევლით ჯიშს ტურტებში ურტყენებს და დასციონს) დრუე! ხედავ რამისისო ტურტები აქვს?!

ჯონი — (პურს აიღებს და აძლევს ჯიშს, თან აუკივს) ჰამე ჯიში, მეტი არაფერი მაქვს, ძმაო (ტროლით, თავისთვის) ძმა მიკედება, რომელ საავადმყოფოშიაც არ მივიყვანე და ვთხოვე აღმოვიჩინათ დამნაშრება, ყველგან წიხლისკერით გამომაღვს. ახლა რა ვქნა, სად წავიყვანო, ავადმყოფი ძმა, პატრონობას ვინ გაგვიწევს, სახლ-კარი არა გვაქვს, დედა არა გვაყავს, მამანებს კი თეთრკანიანთა შეღამარაკების გამო სა-მუღამო კატორღა მიუსაჯევს. ოჰ, რა უბედურები ვართ, განა ჩვენი ბრალია, შავკანიანებად რომ დავიბადეთ? ანდა ვის რას უწმავთ, რად გვიძცივიან ასე!.. (თავდახარბილი ქვიბინებს).

ჯონი — (კოსტრეის ყუთით შემოაქვს წყალი) ვაიშე, ძმაო! (დაიბრუნებს და ევედრება დრუეს და გერსეულს) ბატონებო, გვედრებით, ნუ სცემთ ჩემს ძმას, ნუ აწვალბთ, ეგ ხომ ავადმყოფია, შეიცოდით...

ჯიში — (წამოიწევს. ადგომა უნდა, მაგრამ ძალი არ სყოფნის). ჯონ, ძმაო, ვკვდები, მიშველი, წყალი, წყალი, ჯონ...

დრუე — (ეხტვრება ჯონს) პირქვე დაწევი ჩქარა!
ჯონი — წყალს დავაფიცივებ მომავლდას... (შემოდის ობერტი, ხელში თოჯი უქირავს და შორი-ასლო დადგება).

ჯონი — რა მოვივიდა, ჯიში, ახლავ, ახლავე მოვიტან წყალი! (გარბის გარეთ).

დრუე — (მწერალად) წყალი მომეცი აქ! (გამოსტკეპს წყლით სავსე ყუთს და ვადაისკრის) დაწევი პირ-კვე ჩქარა! (წიხლს დაარტყამს და შემდეგ სცემს) გერსეულ, მაგას ეყოფა, მოდი აქ, მომეშველი!

ჯიში — ვაიშე... ვკვდები, ვა.ი.შე... (კენისის). (ხმაურით შემოჩნდება დრუე და გერსეული, ხელში წყებლები უჭირავთ, შენიშნავენ ჯიშს, მიუახლოვდებიან და ასტებენ სიცილს).

მარსეული — (ღიჯს ჯონთან და ისიც ცემას დაუწყებს) მაგრად ურტყო, დრუე, მაგრად!

დრუე — ამ ზანგ ძალს ვერ უფურებ, ხალხის საჯღმოდ სკამზე როგორ გამოვიშვლა?! (ჯიშს წყებლს

ობერტი — (დრუეს და გერსეულს მიუახლოვდება) არა გრცხვენიათ?! რათა სცემთ, რა დაგიშავათ, მათ თავიანთ გაპირებდაც ეყოფათ!

დრუე — (ობერტს) როგორ, ზანგებს ექომაგები? აქედან ვაეთრე, თორემ ახლავ დავაქვრინებ შენს თავს. (მორთილდება, განავრძობს ჯონის ცემას).

ჯონი — (კენისის) ვა.ი.შე... ვა.ი.შე...

ჯიში — ვკვდე-ბი... მიშ-ვე-ლეთ...



მბმბრბი — (მივა ჯიბთან) ოო... თქვენ საბრალოე-
ნო... (თავს აუწებს და სიბრალოლუა) რა უწველო, სა-
წყაღე კვდება!

პოლინიამი — (შეზოდის, დიმილით შესტკერის
დრუესა და გერსველს). აი, ყოჩაღ თქვენ!

მბმბრბი — (თავისთვის) ეხ, სად არის სამართალი,
ხმას ამოიღებ და საშუალოდ დაგვარგავენ. (დაცინით)
პოლიცილოო... ეხტე, ვითომ წესრიგის დამცემია, სა-
ცოდავი ბავშვები ცემით მოკლენ და ყოჩაღ თქვენ...
(ბაიჭნევს ხელს) სულერთია ეს მხეცობა არც თქვენ
შეგვრჩებათ!

დრუე — (მიუახლოვდება პოლიციელს და ჯიბზე
მიუთითებს) აი, ეს ბიჭური, სკამზე წამოწოდოლო
ვრუნებოდით ადგილ და ადგილიდან არც კი დიპირა.
პოლს გარმთავადეთ, ლაზიანივად ცემით კიდც.
მისისმუ — (პოლიციელს მიუახლოვდება) ბომ
კარგად მოვცეულვარა?!

პოლიცი. — ძალიან კარგად მოვცეულვართ! ეგ შა-
ვი ეშმაკები არასდროს არ გაათამაშოთ, სადაც შეგ-
ხვედით, არ შეიბრალოთ! (მიუახლოვდება ჯიბს, წიხლს
ამოარტყამს ზიზლით) ეგრე მოვინებებით! (შენიშნავს
ობერტს და მიმართავს) შენ აქ რას აკეთებ?!

დრუე — (პოლიციელს) ეგ კაცი მოვიდა და დაგვი-
შალა — ნუ სცემო!

პოლიცი. — (ობერტს) მართალია? შენ ზანგებს
ივავ?!

მბმბრბი — დიას, ვიცავ! რათ აქეზებთ მავათ, ამით
თავიანი გაქირვება და უსატრონოზა არ ეყოფათ?! რა
უყოთ რომ ზანგები არიან, იმიტომ უნდა დაგვხოცოთ?
ეს მხოლოდ აქ, ჩვენში, ამერიკაში ეპურობით ასე შავ-
კანიანებს, თუმცა რა მოვითხოვებთ! თქვენ ხომ ვუ-

ლის ნაცვლად ქვა გიდევთ შერდში, თქვენ, ჩუქუქუქუქუქ
ნართ და ყველას მხეცურად ეძვევით. **პოლიციონებს**
პოლიცი. — (განისხებულად მივარდება ობერტს და
შეაჯანჯლავებს) ხმა, კინტი, შე მაწაწლა, მათხოვა-
რი, თორე...!

მბმბრბი — მეც ხომ თქვენსავით თეორიანია ვარ,
მას მართლად დამცინით, რად მიწოდებთ მაწაწლას და
საბრალოდ მაგრამ არა, თქვენ მართალი ხართ, ჩვენც
ისევე დავცემებით, როგორც ზანგები. ლუკმა პურის
საშოვნივად წელზე ფეხს ვდვამთ, ვეძებთ საშუაოს,
მაგრამ სად არის, სად?..

პოლიცი. — ხმა გაკინდეთ, შე ძაღლო! (ხელს
დაარტყამს, მოჰკიდებს ხელს და კინწისკერით გაჰყავს
გარეთ).

მბმბრბი — (გარედან) ძირს მჩაგვრელები! ვაჟმარ-
ჯის თავისუფლებას!

მისისმუ — ეგრე მოუხდება მავ სამაგელს, სიტ-
ყვის შებურუნება რომ გაბედა-

დრუე — გერსველ ახლა დროა წავიდეთ!
(დრუე და გერსველი ჯიბსა და ჯიბს ვაუცილიან, რამ-
დენჯერობა ვადაქრავენ წყებას, სტვენით და ყიფიანთ
ვადიან).

ჯონი — (ძლივს წამოდგება და ვასისხლიანებულ
ბარბით მივა ჯიბთან, თავს აუწევს, აკოცებს შუბლ-
ზე როგორა ხარ ჯიბ... (გაოცებული) ჯიბ! ჯიბ! მოუ-
ვლავთ! ვაიმი, ძაო! (ჯიბს ხეწრებუ დავებობა და ხმა-
მალა ქვითინებს. შემდეგ წამოდგება, მუშტს მოიღუ-
რებს და შესასტებს) ჩვენი დრო დადგება, თავისუფ-
ლება გაიმარჯვებს და მაშინ... მაშინ სასტყავ დიას-
ჯიბით ყველა თქვენს მიერ ჩადენილ ბოროტებისათ-
ვის, უღანაშუალო ადამიანთა მკვლენო...!

ფარღ

მომრბი პაპიპაშვილი

ტყისმსუნაგი

სენათში, ლათას ზემოდ, ბილიცზე რომ
გამოვიდეთ, უტებ უტხაური ხმაური მოგვე-
სმა — თითქოს ღმუთი იყო, წამტუტსაც
ჰვავდა; ჩემი თანამგზავრი სმენად იქცა, მე-
რე ხელი წამავლო და მითხრა:
— დათვია!

ჩუმად წავედით წინ და მალე დაგინახეთ
ახალგაზრდა დათუნი და დიდი ცაცვის ქვეშ
ტრიალებდა. აქ იყო სკა. მივხვდი — დათუ-
ნიას თურმე თავლი ხიდავებია. უკანა ფე-
ხებზე შემდგარიყო და სკისაკენ მიიწვიდა.
ცდილობდა ფეხი ჩაედგა ფულურში, მაგ-
რამ ქვემო უშლიდნენ. დათუნიც ამას გერ-
თმენდა, იმიტომ ბურტყუნებდა და მეს
თოელი ძალით ანძრევდა. სკის გარემო
ფულტკრები ირეოდნენ, დაუზოგავად ჰკბენ-
დნენ დათუნიას. გამწარებული დათვი თათე-
ბით იფერიებდა და თან წვრილი ხმით ყვი-
როდა, მიწაზე გორავდა, და კვლავ თავის
საქმეს განაგრძობდა. ბოლოს დაიქანცა,
უკანა ფეხებით ჩაჯდა და პირდაღებული
შეკეცუნებდა ხეს, — ეტყობოდა რადეკას
ფეხობდა. ასე იჯდა თითქმის ორი წუთის

განმავლობაში. მერე უტებ წამოდგა, მიირ-
ბინა ცაცხვთან და ზედ აცოცდა.

როდესაც ზეითი ავიდა, კლდესა და ხეს
შუა გაიქცა, წინა და უკანა თათები მაგრად
ჩასქიდა კლდეს და ზურგით ძლიერ მიაწვა
ცაცხვს. ხე ოდნე გადიხარა, მაგრამ ეტყუ-
ბოდა დათვის ზურგი ეტყინა, ამისათვის მან
მდლომარეობა შეიცვალა, ახლა ზურგი მი-
ყრდნო კლდეს, ხოლო ხეს კი თათებით მი-
წვა. ცაცხვმა დაიბრიალა და მიწაზე დაეცა.
სწორად ეს უწოდდა დათუნიას.

— აბა, ჩქარა გავადლოთ, თორემ მსიღ
თავლს შესქამს. — ვუთხარი ჩემს თანა-
მგზავრს და დათვის შეეუყვირე. დათვმა
გამოიხიდა, რომ დაგვინახა, მაშინვე გაიქცა
და კლდეს მოეფარა.



— უნდა შევავსინოთ. — ვუთხარი ჩვენს
გამცილებელს და ჰაერში გავისროლე.
ერთი საათის შემდეგ ერთი ვერძო მშვე-
ნიერი თაფლით სოფელში დაგვბრუნდით.

საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა
17

მკაში

სურათი



მისი პირველ სხვის მოჰყვა „ნამგალოს“ პირველი მოძახილი. მწვანე ჯეჯილს ფერი შესცვლია. დამწიფებულა და ახლა ოკროსფრად გამოიყურებოდა. ირღვეოდა ყანის მუხდროება, კოლმეურნეები ბასრი ნამგლეობით შესვოდნენ პურის ყანას, რომელიც კორღებ მთლიანად გადაჭიმულიყო. აქედან მოსიანდა ვაჟე მიწადორი, სდაც კომბაინი გუგუნებდა. კომბაინს და მომკვლეებს თითქოს შეჯიბრი გაჩაღებინათ. ავე იყვნენ პიონერები. უფროსებს შევლოდნენ. საქმე თანასწორად გენაწილებინათ ბეგშებს—ბოგი ხელფურების შესაკრავად ულოს გრებდა, ძნებს კრავდნენ, ურმეულებს სდგამდნენ, დაცივდნულ თავთავს ფოტბადდნენ და ბულულებად აგროებდნენ. ყანის მკის პირველი დღე იყო და ყველა ხალხით ჩამბულიყო შრომაში. წითელყელსახვევიანი პიონერები მარდად ტრიალებდნენ, მათ ყელსახვევს ცელქი ნიავი ნახად აფრიალებდა.

— აბა ჩქარა თამაზ, ჩქარა ულო მოგავშეღე თორემ არ გვეყოფა, — გადასძახა ბრიგადირმა ერთ-ერთ პიონერს, რომელიც სწრაფად გაუქანა ყანის შუაგული-საკენ, სდაც უფრო მაღალი ყანა იყო, გაგლიჯა ერთი ხელფური, იქვე მოჩუბუნებ რუში დააღობო, რომ მოჭნილი ყოფილიყო და ისევ ამბანაგებს ამოუდგა მხარში. მომკვლები ბასრი ნამგლეობით ყანას ცეცხლივით ეფებოდნენ. ქუნდა მათი ჰოპუნა. მოშორებით გუგუნებდა კომბაინი. ბილიკებ ცხენოსანი გაჰონდა. ცხენით პირდაპირ მომკვლებისაკენ მოდიოდა, მიუხალოვდა თუ არა, ცხენი შეაჩერა და ჩამოქვითდა. თვალს გადაავლო ნამუშევარს და სახეზე სიამოვნების ღიმილი გადაეკრა.

— გამარჯობათ თქვენი! — გადასძახა მუშაობით გართულებს ახალმოსულმა. ეს იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

— ამბანაგ ნიკოს გაუმარჯოს! — უპასუხეს მომკვლებმა.

— აბა ბიკო, წიკბარტი#! — შესძახა ბრიგადირმა და ერთ დიდ ხელფურს ხელი დასტაცა, მოსულს წინ მიაკვია. — დაგვლოცე ამბანაგო ნიკო! — ღიმილით უთხრა მან.

— ბარაქაინი მოსავალი, შრომაში წინსვლა და გამარჯვება.

— გაუმარჯოს!... — აღტაცებით შესძახა ყველამ.

— ძან გიმარჯვიათ ბიკებო, ბარაქა თქვენს მარჯუნს, — შუაქო მათი მუშაობით კმაყოფილმა, — მეც თქვენთან ერთად ვარ, აბა პავლე, — მიუბრუნდა მეჩე იგი ბრიგადირს — მომეცი შენი ნამგალი, შენ კი მეძნეულად მომყევი.

* ქართლში შემორჩენილია ძველი ჩვეულება, პირველ დღეს ყანის სამკვლად რომ გავლენ, თუ მათ მახლობლად მგზავრი გაივლის, მომკვლი ხელფურს გადაუტანს, მგზავრი ჩამოართმევს და დალოცავს. ამას წიკბარტს ეძახიან.



პიონერები მოსავლის აღებაზე.
ფოტოგრაფი ვ. რუსთაველი.

ნიკოს ნამგალი ჩამოართვა და მკას შეუღდა. ჰოპუნის ძახილით ერთი-მეორეს გვირდით ამოუდგნენ და გაჩაღდა მუშაობა, პირწინდა ნამგალი მარდათ დასიჩალებდა და ელვარებდა ყანაში.

— მარე, გარე. მარდათ თქვენი ჰორივე, თქვენი, — ისმოდა ხანგამოშვებით ძვირული შეძახილები.

— აბა. აბა, კომბაინს უნდა ვაჯობოთ.

— კომბაინს რას ვაჯობებთ, ხედავთ რკინის აფთარია!

— ჯობნით ვერ ვაჯობებთ, მაგრამ ეშინჯოთ მანინც ჩვენი ძაღვი.

არ სცხრებოდნენ მომკვლები. ისევ გუგუნებდა კომბაინი.

იმ დღის სამუშაო ნორმა ერთი-ორად შესარულეს. დღე თანდათან იწურებოდა, მზე სხივებს იკრეფდა და ხელ-ნელა ეშვებოდა. შებინდდა. მომკვლებმა ხელი აიღეს, პიონერებმა დასწნეს პურის ლამაზი თაველები და მზარული სიმღერით გაემართნენ ისევ სოფლისკენ, გზად ჩაუტარეს მინდვრის ზომალდს — კომბაინს, რომელიც ჯერ ისევ ამბყად მიარღვედა პურის ყანის ზღვას და გუგუნებდა.

სთქარ იახვილი

მკვალა მრეპლიშვილი

ჯ ე ჯ ი ღ ი

ერთმომხმედებიანი პიესა უმცროსი
ასაკისათვის

მონაწილეობენ:

- | | |
|------------|----------|
| ბავშვები | |
| ჯეჯილი | |
| გორველა | სარეველა |
| ღვარძლი | |
| ჭიოტა | |
| მზის სხივი | |
| ნიაფი | |
| წვიმა | |



მზის სხივი



ჯეჯილი

სცენა წარმოადგენს მინდორს.
მცენარეებს სძინავთ.

მზის სხივი—(შემორბის) დილის მზე ამოდის,
აღისტრად ელავს.
სალამი მთა და ბარს,
სალამი ყველას.
მინდერებში ჯეჯილი
საამოდ ღელავს,
პირველი სხივი ვარ,—
სალამი ყველას!

ნიაფი— (შემორბის) მისმინეთ;
ყველამ მისმინეთ,
ამბავი გითხრათ ახალი:
შემოვიარე ამ დილით
ყანა, ქალები, ნახნაფი;
სადაც ჯეჯილი შემომხვდა,
თამაშით გადავირბინე,

ქოჩორზე ფრთები გაკკარი,
საამოდ ავაზიბინე.

(მზის სხივს ხელს გადახვევს და მღერიან).

გვიყვარს ოქროს თავთავეები,
სიზინდების სავეს ტარო,
გვეჭკარება, გვეჭკარება—
მთა და ბარი მოვიართო.
(გარბიან)

(მცენარეები იმშუშნებიან).

გორველა—(იღვიძებს) უჰ, დღეს ბევრი
ვიძინე,
ახლა ბევრსაც ვიციანებ!

ღვარძლი—მიყვარს ბლომად ჭამა,—
ჯეჯილს აღარ ვაცლი,
მემუჭრება გლები,
არ ვუყვარვარ ღვარძლი.

ჭიოტა— ცოტა იჭით გაიწი,
ხელავ, მეც ძლივს ვეტყვი!
ღამიქმუქუნე ქათიბი,



ჩამომტვრივ გვერდები,
რა უზრდელი ყოფილხარ,
სად მოიწივე თავხედად!

გორველა—ჩუმად, თორემ სამივეს
გაგვრეკავენ აქედან.
აძოგვიძირეს ისედაც,
აღარსად გვახარებენ,
ჯეჯილს ზრდას უშლიანო,
ხნულებს არ გვაკარებენ.

ღვარძლი—აქაო და თავთავი
სასარგებლო არისო,
ჩვენ მოგვსპეს და ჯეჯილით
მთა და ბარი აივსო.

ქიოტა— გვიწოდებენ უქნარას,
სარეველა ბალახებს.

გორველა—ჩემი წიშით ვინ მოვა?
ხელს არავინ არ გვებლებს.
ერთი, ნეტავ ჩემს ახლოს
პური გამოჩნდებოდეს,
ისეთი დღე დავაყენო,
აქვე წიშით ქრებოდეს.

ჯეჯილი—(თავს წამოსწევს) დიღუპე
სამხრეთისკენ

ღვარძლი—დამიხედეთ ამ გონჯსა,
ბედწავე შვილობილსა!

ჯეჯილი—ცოტა მზე მეც დამანახვით,
ვიყინები სიცივით.

ქიოტა— ოჰო, ეს ვინ ბრძანდება!
ლამის მოვკვდე სიცილით.

ღვარძლი—აბა, სწორედ შენთვის
მოუცლია მზესა,
ასეთ უშნო ბალახს
ნეტა ვინა თესავს?

გორველა—გაპჭრი, გაპჭრი, მეზობლად
არავინა გვეწადია.
ჩვენც არ გვეყოდნის ეს მიწა,—
არ გვინდობარ, ცხადია!

ჯეჯილი—თქვენ ვინა ხართ?

ქიოტა— ვერ გვიკან,
მინდვრის დედოფალები?!

ღვარძლი—აქ გაზრდა არ გაბედო,
დაგიდგება თვალები.

გორველა—დაცადეთ, რას იტყვის,
ვნახოთ ვისი შვილია!

ჯეჯილი—მე თავთუხის ღერო ვარ,
თქვენი არ მეშინია.
მაღე აქაც ამოვლენ
ჩემი ამხანაგები...



ღვარძლი



გორველა



ქიოტა

კაცის საზრდოდ ვიზრდები,
მარცვლი მიქვს ნაქები.
ეს ველი, ეს ხნულაბი
ჩემთვის გადაშლილია,
ჯეჯილი ვარ ბეჯითი,
თქვენი არ მეშინია.

ღვარძლი—ოჰ, ეს შენა ბრძანდები
ნებბერი ჯეჯილი?
ბევრჯერ ვიყავ შენს გამო
ფესვებამოგლეჯილი.

გორველა—ძლივს ადგალი მოვნახეთ,
ძლივს გავიდგით ფესვები;
ერთი ახლა მობრძანდეს,
ნეტავ, შენი მთესველი.

ქიოტა—ეს მთა-ბარი ჩვენია,
მზის სინათლეც ჩვენია,
შენ კი რა დაგჩენია?

ხამივე— (ხელებს შლიან და ჯეჯილს გადაე-
ფარებიან).

არ გაუშვათ მზისაკენ,
სხივმა არსად დაჰხედოს.
(ჯეჯილს) ზეჯით არ ამოგიშვებთ,
იჯექ ბნელში, თავხედო.

წვიმა— (შემორბის სურით ხელში).
ცივი ნამი ვის ვინდათ,
ციდან ჩამოკრებილი,
გაიღვიძეთ, მინდვრებო,
დაიბანეთ ხელ-პირი!

(მცენარეები ხელებს შეუშვებენ).

წვიმა ვარ, წვიმა,
დავენამე ვერილად
მთასა და ველებს,
დაგაბანინებთ
პირსა და ხელებს!

გორველა—შემხედეთ, რა ლამაზად
დამიწითლდა ლოყები!

ღვარძლი—პირს იბან და მაშინვე
თავის ქებას მოჰყვები.

ქიოტა— უჰ, რამდენი წყალი ვსვი!

ჯეჯილი—წვიმავ, მეცა მწყურია...

წვიმა— სალაღი ჩემს მეგობარს,
ეს ხომ ნორჩი პურია!
(სარეველა ბალახებს მიმართავს
საყვედურით):

რათ არ იცით, სხვაზე წინ
წყალს უთმობდეთ პატარებს.



წვიმა

გორველა—მარტო მეც არ მეყოფა,
წვეთსაც არ მივკარებ.
(გამოცლის სურას).

წვიმა—(ჯეჯილს) არ იდარლო, გენაცვია,
კიდევ მოვარბენინებ,
დიდი კოყით მოგიტან,
ბევრ წყალს დაგალეწინებ.
(გარბის).

ღვარძლი—არ უყურებ, ამ მახინჯს
როგორ ეფერებიან?
წვიმა, მზე და ნიაგი
სულ თავზე ევლებიან!

ქიოტა— ჩვენ კი არად გვაგდებენ
ფერად ფერადს, ლამაზებს.

ჯეჯილი—მე სულ არა მჭირდება
არწიები კაბაზე.

წითელ-ყვითელ ყვავილებს
მოსართავად არ ვებებ.

მაინც ყველას ვჯობივარ
მთელს ამ არემარეზე.
თავთავს როცა დავისხამ,
პურის მარცვლით ავიესებ,—
მნახველს იმით ვაამებ,
გულსაც გაუხალისებ.

ქიოტა— ეს ხნულები ჩვენია,
მზეც და წვიმაც ჩვენია,
შენ კი—რა დაგჩენია?

ღვარძლი—(ჯეჯილს) დაიცადე, იმ დროსგან
განა ასე შორსა ვარ?
გავერევი ხორბალში,
გავიმწარებ მოსავალს.

გორველა—აბა, ეველამ დაეზაროთ,
ცვარნამიც არ ეპყუროს,
ჩუმაღ იჯდეს ბნელეთში
და ჩვენს ფეხებს შეპყუროს.
(ჯეჯილი ჩაიკუნტება).
რა ღონე მაქვს შენ იცი?
აბა, ჰკითხე ნიაც!

ჯეჯილი—მაინც ვამბობ: თქვენი
სულ არ მეშინია...

ღვარძლი—მაშ, კარგი-და ახლავე
დაეუძახებ ჩვენებს:
ბალახებო, ამოდით,
მალე მომეშველეთ!
(ბიჭუნა შემოდის).

ბიჭუნა — აქ ვის უნდა შეეღა?
სარეველა **ბალახები** (ერთად)—ჩვენა, ჩვენა,
ჩვენა!

ბიჭუნა— ოჰო! სარეველები
ამ ყანაშიც ყოფილან,
დაუფარავთ ჯეჯილი, —
როგორ გადაფოფრილან!
ახლავ ტოლებს მოეუხმობ,
დაეუძახებ ყმაწვილებს,
სარეველა ბალახებს
ჯეჯილს ჩამოვაცილებთ (გასძახის):
აქეთ მოდით, ბავშვებო,
ნახეთ, აქ რა გაჩვენოთ!

(ბავშვები შემორბიან, დატრიალდებიან და
ბალახებს შემოაცლიან ჯეჯილს).

ბავშვები—გაპარულა ხორბალში
სარეველას თესლი,—



ძირიანათ მოვთხაროთ,
არსად დარჩეს ფესვი.


(გახარებული ჯეჯილი ფეხზე წამოდგება და
ბავშვებთან ფერხულს ჩაბამს)

ჯეჯილი—(მღერის) ამოვბიბინდი, გავლადდი,
ფართოდ გავიდგი ფეხები,
ხარობდეს ჩემი მომყვანი,
ხარობდეს ჩემი მთესველი.
მზესაც შევცინებ, წვიმასაც,
დავიყრი სავსე თავთაგებს.

(სხივი, წვიმა და ნიავი ჩაებმებიან ფერხულში).
გავლადანდები საამოდ,
მალე ზრდას ჩამოვათაგებ,—
მერე მომიშკის მომკელი,
დამაწყობს ოკროს ზვინებად,—
და ბელღებს ჩემი სტუმრობით
ნათელი მოეფინებათ.

ფ ა რ ღ ა





ლაპარაკი ყიყინაკი

ნახ. გრ. ჩირინაშვილისა

მითხრობა

მოსწავლის ფორმაში გამოწყობილი თამარი ტრამეის გაჩერებასთან იდგა. კაბის ერთ-მანეთზე მიყოლებული ბრტყელი ნაკეციები კარგად ჰქონდა დაუთოებელი. თეთრი სამაჯურები, თეთრი საყელი და თავზე გავეთებული პეიგლას ფრთებივით გამოწასკველი თეთრი ბანტიც ცქრილა გოგონას კიდევ უფრო ალამაზებდა. ბავშვს ხელში ეჭირა ახალი, მზრდილი წინგი, რომლის ყდაზე ყაყაბები იყო დახატული.

მალე ტრამეიც მოვიდა. გოგონა უშპო კიბეზე შეხტა. გოგონაში რამდენიმე ადგილი თავისუფალი იყო. თამარმა მიიხედ-მოიხედა, უფროსი რომ არავინ იდგა ფეხზე, ერთი ადგილი თვითონ დაიკავა. გადაშალა წინგი და პირველ ფურცელზე პოეტის სურათს დააცქერდა.

„რა ჭკვიანი სახე აქვს“ ფიქრობდა გოგონა და პოეტის სურათს თვალს არ აშორებდა.

ორი გაჩერების შემდეგ ტრამეაში ბევრი მგზავრი მოგროვდა. არც ერთი ადგილი აღარ დარჩა თავისუფალი. ფეხზეც ბევრი მგზავრი იდგა. პოეტის სურათის ცქერით გატაცებულმა თამარიც ტრამეის მოთლოდნელად შეჩერებისას თავზე მდგომი მგზავრის შეხება იკრძალა. ბავშვმა სურათს თვალი მოაშორა და მივლო ახებდა. გაოკვირდა: მგზავრი წინგში დაბეჭდილ სურათს ჰკავდა. ნამდვილად ჰკავდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს კაცი ღიმილით უყურებდა თამარიკოს.

„უთროსი ფეხზე დგას. თავზე დამდგომია, ფეხები და არც იმ დიდები. ეს სადაური ზრდილობაა“. უცებ თამარიც ამ აზრმა გაუფლავა თავში.

— ძია, დაბრძანდით!

უცნობე ძია გოგონას თავახიანობამ გაახარა. ბავშვს მხარზე დაადო ხელი და ღიმილით უთხრა:

— გოგონა, რატომ დგები? შენისთანა პატარებს ჩვენ უნდა დავუთმოთ ადგილი.

— არა... რას ბრძანებთ, ძია, ეგ როგორ შეიძლება?! დაბრძანდით, დაბრძანდით! — გულითადად შესთხოვა თამარიკომ.

მოსწავლე გოგონას თავახიანობით ნასიამოვნებმა ძიამ შეთავაზებული ადგილი დაიკავა. ბავშვიც ახლო დაიყენა და საუბარი დაუწყა:

— გოგონა, რა გქვია?

— თამარი.

— თამარ, ეს წინგი შენი არის?

— არა, პოინერ-მოსწავლეთა სასახლიდან მომაქვს. მერე მეც მიყიდის მამაჩემი, მაგრამ ახლა ძალიან მჭირდება; მოხსენებას ვამზადებ მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენციისათვის...

— რა თემა გაქვს არჩეული?

— მე უნდა მოვამზადო თემა: „ბავშვები გრიშაშვილის შემოქმედებაში“. პოეტის თითქმის ყველა საბავშვო ლექსი ამ წიგნშია, და მეც ამ წიგნით უნდა ვიხელმძღვანელო.

— კარგია, საინტერესო თემა ავიჩინეია. შენ ჩემი მეგობარი ყოფილხარ. მეც ძალიან მიყვარს ლექსები. და აი, რას გირჩევ: შენ ბავშვი ხარ. დაუკვირდო. კარგი პოეტის შემოქმედებაში შიითხოლო უნდა მოძებნოს თავისი თემა... შენც ასეთი თვალით მიუღდე მაგ ლექსების გარჩევას.

— ეს როგორ იქნება! პოეტ გრიშაშვილს ჩემს შესახებ რომ არაფერი დაუწერია? — გაკვირვებით თქვა თამარმა.

— დამბახსოვრე, რაც გითხარი. თუ ასე მოიქცევი, შენი თემა უფრო ორიგინალური იქნება და საინტერესო. — უთხრა უცნობმა ძიამ თამარს.

ტრამეის გაჩერდა. თამარი აქ ჩამოდიოდა.

ჩასვლისას უცნობ ძიას კეთილი რჩევებისათვის მადლობა გადაუხადა.

შინსკენ მიმავალი თამარი ფიქრობდა: „რა მოთხრა იმ კაცმა? როგორ შეიძლება ამ ლექსებში ჩემი თავი დავინახო? მაინც რატომ მიჩნია ასეთი რამ?“

მალე თამარი თემის დაწერას შეუდგა. ერთი პატარა საერთო რეგული დასვირდა მის თემას. მეორედ და მესამედაც გადასწერა, ბევრი დაუმტატა და ბევრი რამ გამოაკლო. ბოლოს მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენციაზე გაეზავნა.

დაიწყო თამარისათვისაც მოუსვენარი წუთები. გოგონა ფიქრობდა: „ამხანაგებმა იციან, თუმა რომ გავეზავნე. რომ დამიწუნონ რას იტყვიან ამხანაგები? შეიძლება არც არაფერი თქვან... მაგრამ მე კი გულთ მონდა მოხსენებით გამოვიდე სამეცნიერო კონფერენციაზე“.

თამარმა მხოლოდ მაშინ მოსიყენა, როცა ბარათი მიიღო და წაიკითხა:

„...თქვინ თუმა მოწინებელია და შეტანილია სამეცნიერო კონფერენციის დღის წესრიგში. გამოცხადდით დანიშნულ დროზე“.

გაეხარდა თამარს. კვლავ მოაგონდა ის უცნობი ძია, ტრამპაიში რომ შეხვდა და დარჩებდა მისკა. თემის წერის დროს მის რჩევას არ ივიწყებდა. ახლა თავისი თემის მოწონების ამბავი რომ გაიგო, იმაზე დარდობდა: რატომ ჩემი კარგი მრჩეველი ვერ გავიცანი, რატომ მისი სახელი და გვარი არ ვიცო.

დანიშნულ დღეს დაიწყო მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენცია. დარბაზი საისეა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მოსწავლეებით. ზოგი ლიტერატურულ საკითხზე აკეთებდა მოხსენიბას, ზოგი გეოგრაფიაზე, ზოგი ისტორიაზე... ფიზიკა და მათემატიკა ბევრს აურჩიოდა. კონფერენციას ესწრებთან ცნობილი მწერლები, გამოჩინილი მეცნიერები. სამეცნიერო კონფერენცია გახსნა მოსწავლემ. პირველი სიტყვა მოხსენიბისათვის თამარს მისცა.

თამარს არ უნდოდა პირველი სიტყვა. ასე უცნობ საზოგადოებაში პირველად უნდობა გამოსვლა. მორჩხად ათვა და ტრიბუნიკენ გაეშურა. მიწყნარებულ დარბაზს თვალა გათავალო. ეძნელებოდა პირველი სიტყვის თქმა.

— ამხანაგებო, — თანა შეიკრთაოი ხმით დაიწყო თამარმა. — სხეებმა შეიძლება ამ საკითხზე არ ილაპარაკონ. მაგრამ მე მინდა ორიოდე სიტყვით მოგახსენოთ, თუ როგორ დაწერე ჩემი თემა. — ხმა თანდათან გამართა, უფრო გაბედულად განაგრძო.

თამარის სიტყვებს სულგანაბული უსმენ-



დნენ. ყველას მოეწონა სიტყვის თავისებურად დაწყება.

— სასო, აქეთ მობრძანდით! — გაისმა დარბაზი ხმით დარბაზში. რამდენიმე დასწრეთაგანი ფეხზე წამოდგა, დარბაზში შემოსულისათვის რომ ადგილი დაეთმო.

თამარი შეჩერდა. გაიხედა კარებისაკენ და გაუცვირდა:

— აი, ის კაცი, მე რომ ჩემი მოხსენების შესახებ მესაუბრა და კარგი რჩევა მომცა!..

თამარის მოხსენება ყველას მოეწონა. გოგონა ტავით დააჯილდოვეს. მოხსენების გარშემო ბევრი გამოვიდა სიტყვით...

სიტყვა მოითხოვა კეთილმა ძიამაც, რომლის დანიშნობა თამარის მოხსენიბას ასეთი საინტერესო ხასიათი რომ მისცა, ძიას გამოსვლას მთელი დარბაზი ხანგრძლივი ტავით შეხვდა. მართალია თავმჯდომარემ გამოაცხადა ამ ძიას სახელი, მაგრამ თამარი იმდენად იყო ადელეგებული სიამოვნებით, რომ ეს არ გაუფიქრა. კეთილი ძია კი ლაპარაკობდა:

— დღეს ჩვენ ვესწრებით მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენციას. ამ კონფერენციას თქვენ ატარებთ. ჩვენ დროს ასე არ იყო. რა ბედნიერი თაობა ხართ! რა ფართო გზა აქვს გახსნილი თქვენს ნიშს! მე მნიშობლავს თქვენი ცოდნა და მომწონს თქვენი ზრდილობა. ჩვენი მოხსენებელი მე ადრე გაიცანი. იგი სხვამ კი არ გამაცნო, არამედ მისე ზრდილობით გავიცანი. — და აღნიშნა რა პირობებში მოხდა ეს. ძიამ ახალი წარმატება უსურვა თამარს და საჩუქრად გადასცა ის წიგნი, რომლის მიხედვითაც თამარმა მოხსენება წაიკითხა.

წიგნი პირველ ფურცელზე ეწერა: „სახსოვრად ნიჭიერ გოგონას თამარს, ჩემს პატარა კრტიკოსს, სოსო გრიშაშვილი“.

ჩოგოძე თვინავს

საქართველოში
სივლიძის

თვითმფრინავი

ვის არ უნახავს თვითმფრინავი — ჩვენს დროში ცის ლაქვარდის დამამშვენებელი ეს რკინის ფრინველი? ვის არ აღმერია სურვილი მასში ჯდომისა და ფრენის! მაგრამ უწინარეს ყოვლისა, უთუოდ ყველას დაგვადლებათ ვითხვია — როგორ ფრინავს თვითმფრინავი? ამის გაგება მწელი არ არის და მიხნა ამაზე გესაუბროთ.

თვითმფრინავის ფრთები ისე არის აგებული, რომ სწრაფი მოძრაობის დროს მათგან წარმოიშობება ამწევი ძალა, რომელიც თვითმფრინავის მთელ სიმძიმეს გადააჭარბებს, თვითმფრინავს დედამიწის ზედაპირს მოაშორებს და მას ჰაერში ადაჰყიდებს*.

ვისაც თვითმფრინავი ახლა უნახავს, მას უთუოდ შეუძინებია, რომ მისი ფრთების ზედა მხარე (ზედაპირი) ამობურთულია და ქვედა მხარე კი სწორი (ნახ. 1).



ნახ. 1

ფრთა სწრაფად მოძრაობის დროს თავისი წინა ნაწილით შემხვედრ ჰაერს გადახრის ზევითაჲნ. ამ გადახრის სიდიდე ჰაერის იმ ფენებს მეტად აქვთ, რომლებიც ფრთასთან ახლო გაივლიან. მეტად დაშორებული ფენები კი ფრთის მიერ ნაკლებად გადახრებიან. ამის შედეგად ფრთის ზევით ჰაერის ფენათა ნაკადი მეტად შემჭიდროვებულია და ფრთის ქვევით კი ჩვეულებრივად გაიმეფითებული (ნახ. 2).

თვალსაჩინოებისათვის მოვახდინოთ ასეთი ცდა.

წყლით სავსე თეთრი ბოთლი თავქვე დავიკავოთ, წყალი დენას დაწყებებს. ჩვენ შევაძინებთ, რომ ბოთლის ვიწრო ნაწილში — ყელში წყლის ნაწილაკები უფრო სწრაფად მოძრაობენ, ვიდრე ზევით — ფართო ნაწილში. ვიწრო ნაწილში წყლის ნაწილაკები უფრო შემჭიდროვებულია. აქედან დასკვნა: ჰაერის ან წყლის ნაწილაკების მოძრაობა იქ უფრო სწრაფია, სადაც ისინი მეტად შემჭიდროვებული არიან.


ანალოგიური მდგომარეობა იქმნება სწრაფად მოძრავე ფრთასთანაც: ფრთის ზევით ჰაერის ნაკადი გაივლის მეტად შემჭიდროვებულად, ვიდრე ფრთის ქვევით და ამიტომ სიჩქარეც ჰაერის იმ ნაწილაკებს მეტი ექვებათ, რომლებიც ერთსაჲნ ფრთას ზევით, ვიდრე ნაწილაკებს, რომლებიც ფრთის ქვედა ზედაპირზე გაივლიან. ჰაერის ნაწილაკებს აქვთ თვისება: გაცვეთის შემდეგ ერთდროულად შეხვდნენ ერთმანეთს. ამიტომ ფრთის ზემოთ წასულმა ჰაერის ნაწილაკებმა უფრო სწრაფად უნდა იმოძრაონ, ვიდრე ქვემოთ წასულმა ნაწილაკებმა, რადგან მათ, ფრთის ამოიურთულობის გამო, მეტი მანძილი აქვთ გასავლელი, ვიდრე ფრთის ქვემოთ მიმავალ ჰაერის ნაწილაკებს.

მაგრამ მაინც იბადება კითხვა — რა მნიშვნელობა აქვს ამწევი ძალის წარმოშობაში ფრთის ზემოთ და ფრთის ქვემოთ მოძრავე ჰაერის ნაწილაკების სიჩქარეთა სხვაობას?

დავაყენოთ ასეთი უბრალო ცდა: ავიღოთ ქალაქის ორი ფურცელი და დავიჭიროთ ისინი დაკიდებულ მდგომარეობაში ერთმანეთის პარალელურად 3-5 სანტიმეტრის მანძილზე და ფრთხილად შევუბეროთ სული ფურცლებს შორის (ნახ. 3). ქალაქის ფურცლები, როგორც ჩვენ წარმოგვედგინა ცდამდე, კი არ გაიწევიან ერთი მეორისაგან, არამედ მიიხილებიან ერთი-მეორისაკენ.

ეს ხდება ჰაერის შემდეგი თვისებების გამო: ჰაერის ნაკადში სიჩქარის გადიდებით წნევა მცირდება.

ეს თვისება აღმოაჩინა და მათემატიკურად დააფუძნა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში მათემატიკოსმა ბერნულმ, ამიტომ მას ეწოდება ბერნულის კანონი. ჩვენს მაგალითში ორ ფურცელს შორის სულის შებერვით ჩვენ წარმოვშვით იქ მყოფი ჰაერის ერთგვარი



ნახ. 2




სიჩქარე, ვარედან კი ჰაერის სიჩქარე დარჩა უცვლელი. ამიტომ ქაღალდის ფურცლები ერთმანეთისაკენ მიიზიდნენ.

იგივეს ვახსენებ ჰაერში, რომელიც ერთ-ერთის თვითმფრინავის ფრთას; იგი, როგორც ფრთის ზემოთ ჰაერის სიჩქარე მეტია, ვიდრე ფრთის ქვემოთ, ამიტომ ჰაერის წნევაც ფრთის ზედა მხარეზე ნაკლები იქნება, ვიდრე ქვედაზე. ეს კიდევ უფრო აღიღებს წნევის იმ სხვაობას ფრთაზე, რომელიც წარმოიშობა შემხვედრი ჰაერის ინერციით.

და ასე, თვითმფრინავი ფრეს იმიტომ, რომ მისი მოძრაობის დროს ფრთის ქვედა მხრიდან იქმნება მაღალი წნევა, ზემოდან კი — დაბალი. ამ წნევათა სხვაობა აჭარბებს ანუ სძლევს რა თვითმფრინავის წონას, აჩერებს მას ჰაერში.

ამწევი ძალა შეიძლება წარმოიშვას, თუ თვითმფრინავი ადგილზე დგას და მას წინიდან ქარი უქრის. ამ შემთხვევაშიც ხომ მოძრაობაშია ჰაერის ნაწილაკები? მაგრამ თვითმფრინავი მაინც ადგილზე დგას. რატომ? იმიტომ, რომ ამ დროს ამწევი ძალა ძალიან მცირეა, რადგან ჰაერის ნაწილაკების მოძრაობის სიჩქარე მცირეა. თუ თვითმფრინავი სწრაფად მოძრაობს, მაშინ ჰაერის ნაწილაკებიც სწრაფად მოძრაობენ ფრთასთან და, სწორედ ამ დროს იზრდება ამწევი ძალაც. დამტკიცებულა, რომ თუ თვითმფრინავი თავის მოძრაობის სიჩქარეს ორჯერ გააღიძვებს, მაშინ ამწევი ძალა ოთხჯერ გაიზარდება. (ამწევის ძალის სიდიდე ფრთის ფართობზედაც არის დამოკიდებული) ამიტომ არის,



ნახ. 3

რომ თვითმფრინავი აფრენის წინ ჯერ ადგილიდან წელა დაიძვრება და შემდეგ, ინერციის ძალით, სიჩქარეს თანდათან უმატებს. როდესაც ამწევი ძალა გაუტოლდება და გალაჟერბებს თვითმფრინავის წონას, სწორედ ამ დროს მფრინავი (პილოტი) ოდნავ გაზრდის შეტრევის კუთხეს (თვითმფრინავის ცხვირი ოდნავ აიპყვეს ზევით), რის გამო ამწევი ძალა სწრაფად გაიზარდება და თვითმფრინავი

ვი დედაშიწის ზედაპირს მოსწყდებოდა და იათხ მალა წავა.

თვითმფრინავი რომ მოძრაობაში მოვიდეს, ამისათვის საჭიროა ძალა. ამ ძალას ვაწევის ძალა ეწოდება და მას პროპელერი ანუ ხრახნილი წარმოშობს. ეს უკანასკნელი დიდი სისწრაფით ტრიალებს (1500-ზე მეტა ბრუნვა აქვს წუთში). მას ძრავი ატრიალებს.

პროპელერი ანუ ხრახნილი თავისი აგებულებით თვითმფრინავის ფრთას მოგვავიანებს — მისი წინა მხარე ამობურთულია, უკანა კი — სწორი ანუ ბრტყელი (ნახ. 4). იგი დამაგრებულია თავისი შუა ადგილით ძრავის მუხლახანა დერძის თავზე. ტრიალის დროს, თავისი აგებულების გამო, იგი ბურღის მსგავსად ეცუნვა გარემოცულ ჰაერის სიღრმეში.

პროპელერის მოქმედების პრინციპები იგივეა, რაც თვითმფრინავის ფრთებისა: პროპელერის ტრიალის დროს მის წინა ამობურთულ მხარეზე ჰაერის ნაწილაკები მეტად შემპყიდრობებულნი არიან და სწრაფად მოძ-



ნახ. 4

რაობენ ისევე, როგორც ფრთის ზედა მხარეზე, და წნევაც ნაკლებია. უკანა — ბრტყელ მხარეზე კი ჰაერის ნაწილაკები მეტ წნევას ახდენენ ისევე, როგორც ფრთის ქვედა მხარეზე. ამგვარად პროპელერი მოქმედებს წინ მიმართული ძალა — გამწევი ძალა.

რამდენადაც სწრაფად ტრიალებს პროპელერი, რამდენადაც მეტ ბრუნვას აკეთებს იგი წუთში, იმდენად მეტია მისი ვაწევის ძალა ისევე, როგორც თვითმფრინავის სწრაფად მოძრაობის დროს ამწევი ძალა მეტია.

ასეთია ზოგადად თვითმფრინავის ფრენის გამომწევი ძალები, რომლებიც მოქმედებენ თვითმფრინავზე როგორც აფრენის წინ, ისევე ჰაერში.

თვითმფრინავს ფრენის დროს წინ ხვდება ჰაერის წინააღმდეგობის ძალა, მაგრამ, ისე, როგორც თვითმფრინავის წონას ამწევი ძალა სჭარბობს და თვითმფრინავს ჩვენ ჰაერში ვხედავთ, ასევე ვაწევის ძალა სჭარბობს ჰაერის წინააღმდეგობის ძალას და თვითმფრინავი ფრენას განაგრძობს ძალიან დიდი სიჩქარით.

აკაკი სილაგამაძე



ნიკო მუხრანელი

ჩეხოსლოვაკიის დამახორებული არტისტი

1927-28 წლის სეზონში „წითელ თეატრში“ ვმუშაობდი. სეზონი რომ ვათავებდა ვახუშტულზე, ერთმა ჩვენმა მსახიობმა მითხრა: — დიდი ანთაქე საბავშვო პიესას დგამს და ჩვენი ახალგაზრდა მსახიობები მიიწვიანო. მართლაც მოწოდებებისათვის დიდი ანთაქის თათისობით დაიდგა „ტომ სოიერი“. მეორე წარმოდგენაზე დიდი მიიწვიანა ალ. თაყაიშვილი და შესთავაზა დასადგმელად საბავშვო პიესა „რობინ ვუდი“. თაყაიშვილიმა, მაშინ სრულიად გამოუცდელმა რეჟისორმა, მოჰკვირდა ხელი პიესას და იღია სიყვარულით დადგა. ეს იყო ალ. თაყაიშვილის, როგორც ახალგაზრდა რეჟისორის, დებიუტი. ამან მისცა ბიძგი საბავშვო თეატრის დაარსების იდეას. მაგრამ ამ საქმეს სჭირდებოდა ორგანიზატორი და საქმისადმი სიყვარულით გამსჭვალული ადამიანები, რომელთაც სწამდათ საბავშვო თეატრის მომავალი, და რომლისთვისაც შრომას არ დაიზარებდნენ.

ასეთი ადამიანებიც გამოუჩნდა საბავშვო თეატრს: ესენი იყვნენ ალ. თაყაიშვილი და გრ. მიქელაძე. ამ ორმა ახალგაზრდამ მოილაპარაკეს, გეგმა შეადგინეს და წარადგინეს თეატრის სამმართველოში.

სამმართველო მათ დასმარებას შეჰპირდა. ეს ამბავი მოხდა 1928 წლის მაისში. ალ. თაყაიშვილი ამ ხანებში საჩინო მწერეში მუშაობდა, როგორც კინოსახიობი. მონაწილეობას იღებდა კინორეჟისორ შაქრო ბერიშვილის მიერ დადგმულ სურათში — „ღრუბლების თავმესაფარი“. იმ ზაფხულს ალ. თაყაიშვილი კინოეკსპლუატაციას ვაპყვავ ხევსურეთში. ამის გამო მოზარდ მსურველებს თეატრის ორგანიზაციას ხელი მოჰკვიდა გრ. მიქელაძემ.

გრ. მიქელაძემ, წინადადებით მიმართა იმათ, ვინც საქირო იყო მოზარდ მსურველებს თეატრში სამუშაოდ, რათა მონაწილეობა მიეღოთ თეატრის დაარსების საქმეში.

ბევრმა ახალგაზრდა მსახიობმა სიხარულით მიიღო გრ. მიქელაძის წინადადება.

აგვისტოში ალ. თაყაიშვილი კინოეკსპლუატაციიდან დაბრუნდა, გრ. მიქელაძემ მას შეკრებილი და ჩამოყალიბებული დაახვედრა დასი.

დასში შედიოდნენ შემდეგი მსახიობები: ქალები — გოგუცა კუპრაშვილი, თამარ თვალაშვილი, მ. გამრეკელი, ს. ბარბაქაძე, ს. სიხარულიძე, მერი ერგნელი, ნინო ერისთავი, მერი ქორელი, ქეთი ჭეჩელაშვილი. ვაჟები — ვაგი დარისაანიშვილი, ბორის გამრეკელი, მიხეილ ჯავარიძე, ალ. გომელაური, კ. ბესაძე, ს. დრეიძე, ნიკო ილურიძე, კ. ლაშვი, გ. ლომია, შალვა მჭავაძე, ვასო კობელი, გ. როსება, ბორის სვანი და სისან-ლილიძე. თეატრის მხატვრად მოწვეული იყო ახალგაზრდა მხატვარი შიშა გოცირიძე, მთავარ რეჟისორად, ალ. თაყაიშვილი, ტექნიკურ რეჟისორად გრ. მიქელაძე, რეჟისორის თანამშემედ გ. შრავლაძე.

თეატრის დირექტორად განათლების კომისარიატმა დანიშნა მწერალი ელიზბარ პოლუ-პორღინოვი (ზედგინიძე), თეატრის მთავარ აღმინისტრატორად მამუკა ამამუკელი.

ქართულ საბავშვო თეატრს მსახიობებიც ჰყავდა, რეჟისორიც, მხატვარიც და კომპოზიტორიც (მეგობრიძე), თეატრის მთავარ არა ჰყავდა, არ გააჩნდა ქართული ორიგინალური საბავშვო პიესა. ორიგინალური პიესის უქონლობის გამო, თეატრი იძულებული

შექმნა რუსული, ნათარგმნი პიესით დაეწყო მუშაობა.

დასმა ხელი მოჰქიდა „ფრიც ბაუერს“, რომელიც გერმანიის კომუნისტების არა-ღვარაუდ მუშაობას ასახავს. პიესაში მთავარი მოქმედი პირი ბავშვია.

ახალგაზრდა დასს არ ჰქონდა ბინა, რომ დაშმენდებულად მოემზადებინა პიესა. იგი იძულებული იყო განათლების კომისარიატის ხან ერთ ოთახში გვეჯო რეპეტიცია, ხან მეორეში. ახალგაზრდულ ენერჯიას ბევრი დამბრკოლების ატანა შეუძლია, დასმა დასამლია ყოველგვარი სიძინელე და პიესა კარგად მოაწადა. საკუთარი შენობის უქონლობის გამო პირველი წარმოდგენა ოპერის თეატრში გაიმართა კვირა დღით, 11 ნოემბერს, 1928 წელს. დაიდგა პიესა „ფრიც ბაუერი“. წარმოდგენას უამრავი ხალხი დაესწრო, როგორც ბავშვები, ისე მოზრდილებიც. ყველას აინტერესებდა, თუ რა შთაბეჭდილებას დასტოვებდა ბავშვებზე მსახიობების მიერ გათამაშებული პიესა. ამას გარდა აინტერესებდათ როგორც მსახიობები, ისე ის ადამიანები, რომელთაც საბავშვო თეატრის შექმნა იცის რეს, მით უმეტეს, დასში არაფერ ერია ისეთი, რომელსაც ამ საქმის რაიმე გამოცდილება ჰქონოდა. დაწყებული მთავარი რეჟისორიდან დამთავრებული უბრალო თანამშრომლამდის ყველანი ახალგაზრდები იყვნენ. ახალგაზრდა დასის სასიხარულოდ უნდა ესთვებოდა, რომ წარმოდგენა ჩინებულად ჩატარდა.

ბავშვებისა და დამსწრე საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ დასი და ხელმძღვანელები საზოგადოებამ წარმოდგენის დამთავრების შემდეგ რამდენჯერმე გამოიწვია და ოვაციები გაუმართა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის მეორე წარმოდგენა დასმა „წითელ არმიელთა სახლში“ ჩაატარა.

რაკი დასს თეატრისათვის ბინა არ გააჩნდა, იძულებული გახდა სხვადასხვა კლუბებში გაემართა წარმოდგენა; ბავშვებიც ხან ერთ კლუბში ესწრებოდნენ თვითონ საყვარელ წარმოდგენას, ხან მეორეში... რეპეტიციები ტარდებოდა მასწავლებელთა სახლში.

ამეთ პირობებში მუშაობდა თეატრი რამდენიმე თვეს. ბოლოს განათლებას რიგობდა დასს ადგილი ბინა რუსული პრინციპებზე, რომელშიც „მუსიკოლი“ იყო მათავსებელი.

მართალია, დასი რამდენიმე თვეს კლუბში მართავდა წარმოდგენებს და საკუთარი ბინა არ გააჩნდა, მაგრამ მუშაობას მაინც ხელს არ აკლებდა; ამ პერიოდში მაინც მოაწადა მეორე პიესა „რობინ გუდი“, რომელიც აგრეთვე ალ. თაყაიშვილმა დადგა. ეს პიესა საბავშვო თეატრის ძალიან დიდხანს შერჩა რეპერტუარში, როგორც კარგად დადგმული და კარგად ნათამაშევი პიესა.

მესამე პიესა იყო „ალტაელი რობინზონები“ იგივე ალ. თაყაიშვილის დადგმით.

სამივე ეს პიესა ნათარგმნი იყო, ორიგინალი პიესა დასს კვლავ არ გააჩნდა. ჩვენი დრამატურგები თეატრის გარეშე იღვწენ. ისევე ამავე თეატრის კოლექტივის წევრბა, დასის მსახიობბა ვასო კობეღმა, რომ იტყვიან, ნაწი ვატეხა და საბავშვო თეატრის დაუწერა პიესა „გოჩა“. ეს პირველი ორიგინალი პიესა იყო, რომელიც საბავშვო თეატრმა შეიტანა თავის რეპერტუარში და დადგა კიდევ. ამ პიესის დადგმა ალ. თაყაიშვილმა მიანდო ბორის გამაჩველს, რომელიც ამავე თეატრის მსახიობად ითვლებოდა. „გოჩა“ ბორის გამაჩველისათვის, როგორც რეჟისორისათვის სადებიუტო დადგმა იყო.

მეოთხე პრემიერა — პირველი ორიგინალი პიესა დადგმულ იქნა 1929 წელს, 3 თებერვალს.

დასმა ამ სეზონში დადგა მხოლოდ ხუთი პიესა. მეხუთე პრემიერად იყო პიესა „კაცი შავი სათვალეებით“.

პირველი დრამატურგი, რომელმაც ქართულ მოზარდ მაყურებელთა თეატრისათვის დაწერა პიესა, იყო შალვა დადიანი. მისი პიესა „ბორე და კუსპარა“ დიდი სიხარულით მიიღეს ნორჩმა მაყურებლებმა.

1930-31 წლის სეზონს მოზარდ მაყურებელთა თეატრი იწყებს ახალ-შენობაში (რომელშიც დღეს არის). ამ სეზონიდან თეატრი დგება მკვიდრ ნიადაგზე და იგი ჩვენი ნორჩი მაყურებლების თეატრად იქცა.





ხოხობი

ზ. კლიძი

მთხოხობა

წიგნი ა. ბანძელაძისა

საინგილოს გეგმაჲ მდინარე ქურუმუსს რომ გასცილდებით, მის მარცხენა მხარეს მდებარეობს დიდი ჭალა-ტყე, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი ათაღარს ეძახიან. ათაღარი სახეა გარეული ხეხილითა და ფრინველით. მაჲალო ვაშლი, კრიკინა ყურძენი, შინდი და მაყვალი აქ ძლიერ ბევრია. ასევე მრავლად არის აქ გარეული ფრინველი და განსაკუთრებით ხოხობი—ეს უძველესი მობინადრე საინგილოსი. მაგრამ ათაღარი უფრო საყურადღებოა ერთი ძვირფასი მცენარით, რაც დიდ ღირებულებას აძლევს ათაღარს, და მის შესაკუთრე კავლებს* კიდევ დიდ ღირებუთერ შემოსავალს. ეს მცენარე ვახლავთ თრიმლი, მისი ფთოლი და ნორჩი ყლორტები იხმარება ტყავეულობის წარმოებაში.



ზახტულის მშენიერი დილაა. მზეს ჯერ თვალი არ მოუვლია ქვეყნისათვის. ათაღარის ჭალა-ტყე კი სახეა კაცლებით. მოსულან ბაგშეხიცი, ისინი გაჩქარებით ჰკრეფენ თრიმლს და ჟვიღ-ხივილით ავსებენ მიღამოს. აქ არის აბლულა ბაბაქანოვი** თავის პატარა გოგო-ბიჭით — ნაზირაი და მაროთი. აბლულა დიდ საჩუქრებს ჰპირდება ბაგშეხიცი, თუ ბეგრ თრიმლს მოჰკრეფენ. ბაგშეხიცი გაჩქარებით მიიწევენ წინ და გამაღებულს ჰკრეფენ თრიმლს. ნაზირამ ყვირლას გაუწერო უცებ, შორი-ახლო, დაინახა თრიმლის ხშირი ბუჩქი და სულ ხტუნაობით

* კაცი დიდი სოფელია საინგილოში.
** საინგილოში დღესაც ბევრს თათრულს სახელი ჰქვია.

გაექანა იქითკენ. მაგრამ ვერ მიასწრო ბუჩქებამდის მისვლა, რომ მის თვალწინ დამფრთხალი ფრინველი ელვის სისწრაფით ამოვარდა ბუჩქებიდან, გააპო ჰკერი, გასარილა და გაპქრა. შემკრთალობა ნაზირამ დახედა იმ ადგილს, საიდანაც ფრინველი ამოფრინდა, და რას ხედავს: ბუჩქის ძირში ხოხობის დიდი ბუდეა, რომელშიც 12 მოყვითალო კვერცხი დევს. ბაგშეხი სიხარულით გასძახა მამას:

— მამა, მამა! ჩქარა აქ მოდი, რა გიჩვენა!

აბლულა და მარო მამინე მისკენ გაექანენ. ნაზირამ კვერცხებით საესე ბუდე უჩვენა მათ.

— მამა, ამ კვერცხებს მთლიანად აკრეფ, შინ წამოვიღებ, ჩვენს კრუსს დაეუღებ და პატარა ხოხბებს გამოვაჩენებ,—ხეწნით უთხრა ნაზირამ მამას.

— ყველაზე უკეთესი იქნება, შევიღებო, თუ კვერცხებს ხელს არ ახლებთ. დეა, დეამ გამოჩიკოს...

ბაგშეხიმა შინც თავისი არ დიშაღეს. ნაზირამ კვერცხები ქულში ჩაილაგა და შეინახა. როცა შინ დაბრუნდნენ, კვერცხებიც თან წამოიღო.

ხოხობის სამშობლო კავკასიაა და განსაკუთრებით კი საქართველო. საქართველოს განაპირა მხარეში — საინგილოში დღესაც მრავლადაა ხოხობი. შამიან ადგილებში მგზავრს ხშირად ხოხბები წინ გადაურბენენ ხოლმე სრულიად მოულოდნელად. მათ გამარავლებას საინგილოში დიდად უწყობს ხელს მათი საყვარელი საჭმელი მაყვლი. თუმცა ხოხობი მარტო მაყვლით არ იკვებ-

ბა,—არა ნაკლებ ეტანება ის მარცვლელს, მწერებს, კვირტებს და, ასე განსჯეთ, პატარა ბაყაყებსაც და გველის წიწილსაც კი, მაგრამ ხოხობს განსაკუთრებით მაინც მაყვალე უყვარს. როცა მაყვალე აქვს, ის სხვა საკმეღს არ ეყარება.

ხოხობის ხორცი მეტისმეტად გემრიელია. ამიტომ უძველეს დროშივე ბერძნებსა და რომაელებს ხოხობი წაუყვანიათ საქარაველოდან და თავიანთ ქუეყანაში გაუმრავლეს. იქიდან კიდევ ხოხობი დასავლეთ ევროპაშიც გამრავლებულა.

ხოხობი ძალიან ლამაზი ფრინველია, მეტადრე მამალი ხოხობი. იგი ისეთი სხვადასხვა, ერთმანეთში შეხამებული ფერებით არის შემკული, რომ აღამიანი ჩიბობება მისი სანახაობით. მამალი ხოხობის თავისა და ყელის ზედა ნაწილი მწვანეა და ორნავ ბრწყინავი მოლურჯო ფერი დაკრავს. მამალ ხოხობს კისრის ქვედა ნაწილი, მკერდი, მუცელი და გვერდები მუქი სისხლისფერი აქვს, ბოლო გრძელი, მშონაევი სპილენძისფერი, თვალები მოყვითალო წითელი ქუთუთოებით, ფრთები მოყვანისფერი მოყვითალო.

დედალი ხოხობი ამჯვარ სილამაზეს მოკლებულია. იგი მომტრე ტანისაა, ნუკრისფერია და მხოლოდ ზურგის მთელ სიგრძეზე ჩასდებს მუქი შავი ზოლი. სდებს მოყვითალო ფერის კვერცხებს ათ-თორმეტ ცალს, იშვიათად ხუთმეტ-თვრამეტს. 25 დღის შემდეგ გამოსჩეკს პატარა ფერად წიწილებს. შემრებიან თუ არა ახლად გამოჩეკილი წიწილები, დედა მამინევე საკენეს საძებნელად წაიყვანს. სამი კვირის შემდეგ უკვე

მოჩიტილი წიწილები დაფთვანდებიან და თავისუფლად აფრინდებიან ხოლმე ხეზე და მის ვასთევედ.
 ხოხობმა ყვილიც იცის შინაბუნებრივად ეთო, მხოლოდ უფრო მოკლე და ხრინწიანი.

ისევ ბავშვებს დაეუბრუნდით. ნახორამ და მარომ მოიტანეს თუ არა ხოხობის კვერცხები შინ, მაშინვე საბუღარში მწყობრად ჩაალაგეს და ზედ ახლად აკრუხებული ქათამი დასვეს.

ბავშვები ღიღის ყურადღებით უვლიდნენ კრუხს, საჭმელ-სამეღს არ აკლებდნენ და გულის ფანცქალით მოელოდნენ იმ დროს, როცა კრუხი ხოხობის წიწილებს გამოჩეკავდა.

ერთ დღეს ნახორამ, როცა ჩვეულებრივად საჭმელი შეუტანა კრუხს, მისი ფრთების აქეთ-იქეთ პატარა წიწილები დაინახა.

— დედა, დედა, ჩქარა მოდი, ჩვენს კრუხს ხოხობი გამოჩეკია! — გასძახა გახარებულმა ბავშვმა დედას.

დედა და მარო მაშინვე გამოვიდნენ სახლიდან.

ნახევარზე მეტი უკვე გამოჩეკილი ჰყავდა კრუხს. დედამ გამოჩეკილი წიწილები კრუხს გამოაცალა, რათა მისთვის სხვების გამოჩეკაში ხელი არ შეეშალათ, და ყველა თბილად მოათავსა სახლში.

ბავშვების სიხარულს სასულიარო არა ჰქონდა. მიზობლის ბავშვებს აჩვენებდნენ ლამაზ წიწილებს, თაის ევლებოდნენ.

ასეთ სიხარულში იყვნენ ბავშვები, რომ წიწილები წამოიზარდნენ, მოლონიერდნენ და უკვე კარგად შეეძლოთ ფრენა.

ერთ დღეს, ჩვეულებისამებრ, ნახორა შეიკლა წიწილებთან საყენის დასაყრდელად. მაგრამ იქ აღარც ერთი ხოხობის წიწილა არ დახვდა. გულგახეთქილი გამოვარდა გარეთ და დედას და მამას დაუძახა: — პატარა ხოხობები დაკარგულანო.

სამივემ ვაფაცივებით დაუწყეს წიწილებს ძებნა, — შინ თუ გარეთ. მეზობლებში თუ ბაღ-ვენახში, მაგრამ ვერას გახდნენ; ვეღარც იპოვნეს პატარა ხოხობები.

— ტყუილად დაეძებთ. ბავშვებო, ხოხობის წიწილებს, — უთხრა ერთმა მოხეტემა დედაბერმა. — მაგათ ასე სჩვევიათ, როგორც კი წამოიზრდებიან და ფრენას შეიძობენ, იმათ შინ ვეღარ ვაჩერებთ. კვალშიმინად გაიპარებიან ხოლმე. ჩვეიც ბევრჯერ იკალით ბავშვობაში მათი მოშინაურება, მაგრამ ვერას გავხდით.

დალონებული ბავშვები მაინც დიდხანს ელოდნენ პატარა ხოხობებს, მაგრამ ამაოდ — ისინი არსად სჩანდნენ.





ჰიგიენურ საფუძველზე აგებული და დაწესებული მოსწავლის დღის განრიგი ერთ-ერთ კარგ საშუალებას წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის, დახარჯული ძალების აღდგენისა და განვითარების, ჰიგიენური და კულტურული ჩვევების გამოუმუშავებისა და შთანერგვის მხრივ. მას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის წარმატებით სწავლის საქმეში.

მოსწავლის დღის განრიგი იწყება ადგილის მომენტიდან და თაქტიურად ის გრძელდება დღე-ღამის განმავლობაში. მოსწავლე დილით უნდა იღვიძებდეს 7 საათსა და 30 წუთზე და გაღვიძებისთანავე უნდა დაგებოდეს ლოჯინიდან. ადგილისთანავე მოსწავლე აიღებს სარკმელს ჰაერის გასასუფთავებლად. გამოიცვალა თუ არა ღამის პერანგი და ჩაცვა ფეხსაცმელი, სისხლის მიმოქცევის ნორმალური აღდგენის მიზნით ასრულებს დილის თიზიკურ ვარჯიშს 5-10 წუთის განმავლობაში. ფიზიკური ვარჯიშის შემდეგ ატარებს დილის ტუალეტს — იბანს ხელპირს (აუცილებლად სპნით). ისუფთავებს კბილებს, იზივს ტანს წილს ზეგით, სველი, გაწორებული ტლოთი, იმშრალებს მას და იცვამს ტანსაცმელს.

ტანთ ჩაცმის შემდეგ მოსწავლე დინჯად ია აუჩქარებლად ლებულობს საუზმის, რომელიც უნდა შეადგინდეს მოსწავლის დიური ულოფის 25-30 პროცენტს. საუზმის შემოღებ მოითის სოლამში იმ ვარჯილით, რომ იგი სოლამში გამოცხადდეს პირველი გავითობის დაწყებამით 10 წუთით ადრე, რათა მოასწროს დასვენება. ჯარდა ამისა, მოსწავლე სოლამში იცავს ჰიგიენის შემდეგ წესებს: არ აფურთხებს იატაკზე, არ ანაჯივანებს, იბანს ხელებს საპირფარეშოს შემდეგ და აგრეთვე საკმლის მიღების წინ. აქტიურ მონაწილობას ღებულობს კლასის სანიტარული კომისიის მუშაობაში.

სკოლიდან დაბრუნების შემდეგ, შინ მისვლისთანავე მოსწავლე წმენდს გარეთ ფეხ-

საცმელსა და ტანსაცმელს, იცვლის მათ და იცვამს საშინაო ტანსაცმელს, იბანს ხელებს სპნით, რის შემდეგ სადილობს.

საყვების უკეთ გადამუშავებისა და კუჭ-ნაწლავის ნორმალურად მუშაობის მიზნით მოსწავლე საყვებს სასურველია ღებულობდეს დღეში შორის არ უნდა აღიმატებოდეს მიღებათა შორის არ უნდა აღიმატებოდეს 4-5 საათს, ვინაიდან საყვების გადამუშავებას კუჭ-ნაწლავი ანდომებს დაახლოებით 3-4 საათს. შუალედების შემცირებაც არ არის მიზანშეწონილი, რადგან საყვები ჯერ კიდევ არ არის გადამუშავებული და მოსწავლეს არა აქვს მადა. საყვების მიღების საათები შეიძლება შეცვლილი იქნეს მოსწავლის სკოლის განრიგის მიხედვით და აგრეთვე დასაყვებელ დღეებში, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაცული იქნება ოთხჯერ კვება და შუალედები მათ შორის. მადის გაუმჯობესების, საყვების უკეთ გადამუშავების და ათვისების მიზნით მოსწავლე უნდა ღებულობდეს სხვადასხვა სახის ულუფას, გამზადებულს სხვადასხვა პროდუქტებისაგან, მდიდარს ვიტამინებით.

მოსწავლე ულუფას უნდა სჭამდეს აუჩქარებლივ და ამთარებდეს მთლიანად. სადილის შემდეგ მოსწავლე იბანს ხელებს, ისუფთავებს პირის ღრუს და ისვენებს. დასვენებისას სასურველია, მოსწავლემ დაიძინოს, ან წამოწყვეს 30 წუთით. კარგია სუფთა ჰაერზე გასეირნებაც.

დასვენების შემდეგ მოსწავლე ასრულებს საშინაო დაჯალბას, ამზადებს გაკვეთილებს, მისთვის გამოყოფილ ცალკე სამუშაო კუთხეში. გაკვეთილების მომზადების შემდეგ მოსწავლე ისევ ისვენებს არანაკლებ ერთი საათისა. ვახშმის შემდეგ მოსწავლე ისვენებს 15-20 წუთს, სასურველია სუფთა ჰაერზე გასეირნება. ამზადებს დილისათვის და ალაგებს ჩანთაში ყველა საჭირო სასწავლო ნივთს, რათა დილით არ მოუხდეს მათი ძებნა, ანიაგებს ოთახს ძილის წინ, იბანს ხელ-

პირს და ფეხებს, იშვინდს კბილებს ფუნჯით, იხელს ტანს სველი, გაწურული ტილოთი. ძილის ხანგრძლივობა სხვადასხვა ასაკის მოსწავლისათვის სხვადასხვა დროით განისაზღვრება; 8-10 წლის მოსწავლეს უნდა ეძინოს 11 საათი, 11-12 წლისას — 10 საათი, 13-16 წლისას — 9 საათი და 17-18 წლისას 8 საათი. მოსწავლე შეჩვეული უნდა იყოს ღია სარკმელთან ძილს. ზაფხულობით და შემოდგომაზე სასურველია იძინებდეს ღია ფანჯარასთან ან აივანზე. აუცილებელია, დატეხილი იქნეს მოსწავლის ნორმალური, მშვიდი ძილი, ამიტომაც დაუშვებელია მოსწავლის თეატრში ან კინოში დარჩენა, თუ სპექტაკლი ან სენსიტივობის 10-11 საათამდე შეტეს გრძელდება, ეინაიდან მოსწავ-

ლეს აკლდება ძილი. არასაკმარისი ძილი გამოკუნთები, ტენიი, გრძობის უკუჩვენებელი და მთლიანად ორგანიზმი შეუძლებელია სრულ დასვენებას, რის გამოც მოსწავლე მეორე დღეს მძიმედ გრძობს თავს, ეძინება გაკვეთილზე, ვერ ითვისებს ახლად ახსნილ გაკვეთილს და ეკარგება ჰემის შადა. ოთახში, სადაც მოსწავლე იძინებს, აუცილებელია იყოს სიწყინარე და არ იყოს დიდი შუქი. მოსწავლის ლოგინი უნდა იყოს თავისუფალი და სუფთა. თეთრეულსა და საცვლებს მოსწავლე უნდა იცვლიდეს კვირაში ერთხელ, აუცილებლად ბანაობის შემდეგ.

ზ. კოვზირიძე

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

შინაარსი

ი. აბაშიძე — მთავრე საქართველო (ლექსი)	83.
მ. ოქროპირიძე, ნ. თუთუნაშვილი — ბუნების წილში (ნარკვევი)	2
შ. ფორჩხიძე — დაბრუნება (ლექსი)	5
ლ. ვარდოსანიძე — პირველი შეტრება (ნარკვევი)	6
ა. თოფურია — გაგებაზრუნენ ბაღები (ლექსი)	9
ნ. ნაკაშიძე — ანასეული (ლექსი და სინამდვილე)	10
გ. კელენჯერიძე — დაეთ გურამიშვილს (ლექსი)	14
ი. ხიზარულიძე — ცაცხვი (ლექსი)	15
გ. პაპიაშვილი — რა დასაუფს? (პიესა)	16
ქ. იაშვილი — მესაზე (სურათი)	18
მ. მრევლიშვილი — ჯეჯილი (პიესა)	19
ლ. კიქნაძე — ზრდილობიანი გოგონა (მოთხრობა)	23

ა. სილაგაძე — როგორ ფრინავს თეთრფრინავი (წერილი)	25
ნ. ვეარაძე — მოგონება	27
ზ. ედილი — ზოზობი (მოთხრობა)	29
ზ. კოვზირიძე — მოსწავლის დღის განრიგი (წერილი)	31
სამშობლოს საღარაჯოზე! — ფოტოგრაფიული — (გარეკანის მე-2 გვ.)	
გასართობი (გარეკანის მე-3 გვ.)	
გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა — „ხაბატო პიონერი ბანკში“ — შესრულებულია მხატვარ	
გ. ფოცხიშვილის მიერ.	
გარეკანის მეოთხე გვერდის მხატვრობა — „ხაბატის დღე“ შესრულებულია მხატვარ გ. ჩიჩინაშვილის მიერ.	

პასუხისმგებელი რედაქტორი გ. კახიანიძე

პასუხისმგებელი მდივანი გ. თორღუა

სარედაქციო კოლეგია: ე. აგლაძე, დ. გვრიტიშვილი, ვ. ვარდიაშვილი, გ. თავაშიშვილი, მარიჯანი, მ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შენგელია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

ფე 03662 ტირაჟი 7000 გამომცემლობის შეყ. № 94 სტამბის შეყ. № 1007
 დ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.
 ფურნალის-გარეკანი დაბეჭდილია „ხარია ვოსტოკას“ ოფსეტ-მანქანაზე.



მილარი

პასუხები

გამოცანა

გადმოიღო საძოვარზე ლალად ვერცხლისფერი უთვალავი ფარა, ჩვენ რომ ვხედავთ, იგი ასე ნახა ძველ დროშივე ჩვენმა წინაპრებმა.

არასოდეს არ ბერდებდა და თან უღვევი აქვს საბალახო მარად, ვით წყნია, მწუცესიც არის მასთან კალარა და მოხრილი რტვის ღარად.

გამოდენის ოქროს ფარებიდან, მუდამ ღამით ითვლის ყველა მთვანის, როს შელაღავს უკან საძოვარადან, არა კაჟარავს იგი არცერთ ბატყანს.

და ნავაზიც მასთანა მარად, წინ მიუძღვის ყოჩი გაბედული, გამოიყან, რა არის ეს ფარა, დამანახვე მწუცესი გაჰადრული.

თარგმანა **ზოტა ამირანაშვილმა**

აკროკროსგორდი

														14
1	7	8	9	10	11	12	13	15						16
2														17
3														18
4														
5														
6														

ვერტიკალური I

1. „ლონ-იხობტი“ ავტორი.
2. ქართული პოეტის გვარი.
3. ერთფერადიანი ცხოველი.
4. პლანეტა.
5. რუსი მცენიერი.
6. საქართველოს მდინარე.

ჰორიზონტალური

7. ძველი რუსული ვაზეთი.
8. რუსი მხედართმთავარი.
9. პოლონეთის დედაქალაქი.
10. ვერძის მდინარე.
11. ხმოვანი ასო.
12. საქართველოს კურორტი.
13. გორაკი რომანი.

ვერტიკალური II

14. ქიმიური რეაქცია.
15. ყაზბეგის ნაწარმოები.
16. ინერტული გაზი.
17. აზიის სახელმწიფო.
- 18 კონტინენტი.

ამოსხნილი სიტყვების დასაწყისი ასოები ჩაწერეთ უკრებდებში და ასოების თანმიმდევრულად წაიკითხოთ მიიღეთ გურამიძის ცნობილ ერთ აფორიზმს.

შეადგინა **ნინო ნაცვლიშვილმა**, გამოს (სამტრედის რაიონი) სამუშალო სკოლის მოსწავლემ.


„პიონერის“ № 6-ში მოთავსებულ კროსვორდზე

1. ატკი.
2. აბაკელი.
3. იმელი.
5. ურანი.
6. ფუნჯი.
7. არენა.
8. ადაპტერი.
9. ირანი.
13. ლევენფიმი.
14. აღისაბება.
16. ბასტი.
17. დანი.
18. რუ.
20. აგური.
21. სირია.
27. ეკვატორი.
28. ში.
30. ნახშირე.
32. ატომი.
33. იაგა.
35. ავიზო.
36. ტარტუ.
37. აბი.
38. ირიბი.
1. აკაი.
4. გულფა.
7. ალაში.
10. აკადემია.
11. ნაქერალა.
12. ირემი.
13. ლეია.
15. ალტაი.
18. ვარდი.
22. ანაბა.
23. გრიმი.
24. ნინო.
23. რაგუ.
26. კივი.
29. რინე.
31. ირინე.
32. არაბი.
34. იალტა.
37. აინი.
39. ოლეგესი.
40. რომანოვი.
41. ილია.
42. გოლუა.
43. კირი.

6. თავდიშვილის გამოცანაზე ეყვდნო ონგინი, „როსუნა და ლუდმილა“, „კაპიტანის ქალიშვილი“, „დუბროვსკი“.

„პიონერის“ № 6-ში დაბეჭდილი ქ. ბასილუშვილის მიერ შედგენილი თავსატანის

ახსნა



ვიწყებთ პირველი წერტილიდან და შემოვხაზავთ წრეხაზს, ასევე შემოვხაზავთ მრავალკუთხედს 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, და 8-ზე წერტილებში გავლით, შემდეგ 1-დან მოვალთ 9-ზე წერტილში, 9-დან 2-ში, 2-დან 10-11-3-12 —4-13 —14-12-11-15-16-10 —9-16-17-18-15 —14-19-20-13 —5-20-6 —19-18-7-17-8- და საბოლოოდ მოვიდებით 9-ზე წერტილში.

33605336

pyzabew 2

საქართველო
სტამბოლო

USSR. DKO

